პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომ. ტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
ოთხშაბათი,
24
ოქტომბერი
1934 წ.
№ 247 (4103)

დღის ნომერში

— ნაციონალ-სოციალისტების კავშირი ხორვატელ ტერორისტებთან
— სამხრეთ-სლავიის მთავრობის ნოტა უნგრეთს.
— მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში.
— იაპონია-გერმანიის საიდუმლო სავაჭრო შეთანხმება.
— ესპანეთში გრძელდება გააფთრებული ტერორი.
— რუმინეთის მეფის მოკვლის განზრახვა.
— პოლონეთ-უნგრეთის კულტურული თანამშრომლობა.
— სოციალ-ფაშისტები გაურბიან ერთიან ფრონტს.
— ინგლისის მუშათა დელეგაცია ოქტომბრის დღესასწაულზე.
— უკმაყოფილება ოკადას მთავრობით.
— საშემოდგომო თესვის გეგმა საქართველოში 20 ოქტომბრისათვის შესრულებულია 70 პროცენტით.

სას.-სამ. გადასახადი აიკრიფოს დროზე მთლიანად

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ფართო პოპულარიზაციას კოლმეურნე და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის, დასაბეგრ ობიექტების სისწორით აღრიცხვას; კულაკური მეურნეობების გამომჟღავნებას, შეღავათების ზუსტად გატარებას, გადამხდელთათვის უწყებების დროულად ჩაბარებას და მშრომელთა განცხადებების და საჩივრების თავის დროზე განხილვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ურყევად გატარების საქმეში.

ხელთქონებული ცნობები ცხადყოფენ, რომ სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა წელს გაცილებით უკეთ ჩატარდა. მაგალითად, არა სამიწათმოქმედო შემოსავალი აღრიცხულია 7,5 პროც., მეტი წინა წელთან შედარებით. ბაზარზე პროდუქტების გაყიდვით მიღებულ შემოსავლის მქონე მეურნეობანი გამომჟღავნებულია 36 პროც., მეტი; 8,1 პროც. გაიზარდა აღრიცხული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა. 26,2 პროც.. სამწლიანზე უხნესი ცხენების; ხოლო 70.8 პროცენტით აღრიცხულ ღორების რაოდენობა. შედარებით უკეთ ჩატარდა აგრეთვე როგორც გადასახადის გამოანგარიშება ისე გადამხდელთათვის უწყებების ჩაბარება.

ზოგიერთმა რაიონმა (**ახალციხე. თელავი**) გვიჩვენეს კლასობრივი სიფხიზლის და ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშები სასოფლო სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვაში დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პოპულარიზაცია და საბეგრ ობიექტების სისწორით აღრიცხვა და მშრომელთა განცხადებების დროზე განხილვის მოწესრიგება ვერ უზრუნველყვეს მთელმა რიგმა რაიონებმა. ყველაზე მეტ დამახინჯებას ამ მიმართულებით ადგილი ქონდა **გორის რაიონში**. აქ სას.-სამ. გადასახადის კანონი იმდენად სუსტად დაამუშავეს, რომ არამცთუ გადამხდელები, ზოგიერთი სოფლის საბჭოს (**ტირძნისი. მერეთი. ხელთუბანი**) მუშაკებიც ვერ ერკვევიან კანონის გატარების საკითხებში. დასაბეგრ ობიექტების არასწორი აღრიცხვის შედეგად სოფ. **ხელთუბანში** 17.200 მანეთით ზედმეტად დაბეგრეს 41 კომლი, ხოლო ინდივიდუალურად დაბეგრეს 8 საშუალო გლეხი.

გურჯაანის რაიონში (სოფ. არაშენდა) კოლმეურნეთათვის გათვალისწინებული შეღავათები უკანონოდ გაავრცელეს კოლმეურნეობებიდან გარიცხულ მეურნეებზე. სას.-სამ. გადასახადის არასწორად გაწერის ფაქტებს ადგილი ქონდა აგრეთვე **საგარეჯოს** (რაიონში) (სოფ. საგარეჯო).

გადამხდელთა განცხადებები და საჩივარი განხილული უნდა იქნეს 10 დღის განმავლობაში მათი შემოტანის დღიდან. კანონის ამ მუხლს არღვევენ სოფ. **ველისციხეში** (გურჯაანის რაიონი). სადაც გადამხდელთა ორასამდე საჩივარი დღემდე განუხილველია.

საიდან გამომდინარეობენ ამ დამახინჯებათა ძირითადი მიზეზები?

ზოგიერთ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და საფინანსო ორგანოებმა თავის დროზე არ მიიღეს ზომები დამახინჯებების აღსაკვეთად, კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა ვერ გაუწიეს ადგილებს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის უგულებელყოფის მაგალითს წარმოადგენს **საგარეჯოს** რაიონი. სადაც პარტრაიკომის მიერ მიმაგრებული არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი არ წასულა სოფლად სას.-სამ. გადასახადის კამპანიის სახელმძღვანელოდ. კიდევ მეტი იმავე რაიონის კომკავშირის ორგანიზაციამ არამცთუ დახმარება არ გაუწია რაიალმასკომს საგადასახადო კამპანიის ჩატარებაში. არამედ უკან გამოიწვია ამ საქმის სახელმძღვანელოდ სოფლებზე მიმაგრებული კომკავშირელები. ამ მხრივ საგარეჯოს რაიონი გამონაკლისს არ წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადმა საქართველოს სოციალისტურ მშენებლობას უნდა მისცეს 15.300 ათასი მანეთი. გადასახადის აკრეფა შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს: მაგრამ საჭიროა აღებული ტემპების კიდევ უფრო დაჩქარება კანონის ყოველგვარი გადამახინჯების დაუყოვნებლივ გამოსწორება, კულაკური საბოტაჟის აღკვეთა და გეგმის მთლიანად და ვადაზე შესრულება. ე მით უფრო აუცილებელია, რომ ამჟამად იწყება ერთდროული გადასახადის აკრეფა ერთპიროვნულ მეურნეობებიდან, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მიხედვით უნდა იქნეს გაწერილი და აკრეფილი.

◆

შევუქმნათ სტუდენტებს საუკეთესო პირობები

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის დადგენილებას ნოვოჩერკასკის ინდუსტრიალური ინსტიტუტის შესახებ აქვს უდიდესი მნიშვნელობა სტუდენტობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების და, საერთოდ, სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში. სტუდენტთა საჭიროებისადმი ბიუროკრატიულ უსულგულო დამოკიდებულება — აი რა გამომჟღავნდა ნოვოჩერკასკის ინსტიტუტში.

საქართველოშიც გაიშალა უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი. სტუდენტთა საჭიროებისათვის ხელისუფლება ყოველწლიურად დიდძალ თანხებს იღებს, რამაც უდავოდ დიდი მიღწევები მოგვცა (საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. სტიპენდიების ფონდის ზრდა და სხვ.) მაგრამ **ეს მიღწევები ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს.**

ბევრ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს შექმნილი არა აქვს სტუდენტებისათვის აუცილებელი კულტ-საყოფაცხოვრებო პირობები. სტუდენტთა **ბინები** ჯერ კიდევ არ არის წესიერად განაწილებული. სტუდენტთა ქალაქის ზოგიერთი კორპუსის ოთახებში ცხოვრობს 7—8 კაცი, მაშინ როდესაც იქ ნორმალურ პირობებში 6 კაცი თავსდება. გარდა სატყეო და ნაწილობრივ ინდუსტრიალურ ინსტიტუტების კუთვნილი ბინებისა, სტუდენტთა ქალაქში **არ ჩატარებულა მიმდინარე რემონტი.** ბევრ კორპუსში არ არის ისეთი ელემენტალური მოთხოვნილების ნივთები, როგორიცაა ტახტი, ცოცხი და ჩვარი. მოგვარებული არ არის ყველა ოთახში სტუდენტთა **ფაკულტეტობრივი და კურსობრივი** ჩასახლება. სასადილოში გრძელი რიგებია გამართული.

სტუდენტთა ქალაქის **დირექციის უყურადღებობას და წყალთა სამმართველოს დაუდევრობას** სტუდენტთა ქალაქისათვის წყლის მიწოდების საქმეში ბოლო არ უჩანს. ამის გამო ბრკოლდება აბანოს და სასადილოს მუშაობა. **ა.-კ. ინდუსტრიალურმა ინსტიტუტმა** სტუდენტთა ქალაქის დირექციას № 1, და № 2 კორპუსების კულტურულად მოსაწყობად ჩაურიცხა 78.000 მანეთი, მაგრამ **ეს თანხა დირექციის მიერ არაა ათვისებული.**

დაუშვებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს სამრეცხაოს მშენებლობა.

ყველა ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ **უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტთა ქალაქის დირექცია, განსახკომი და სხვ. ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სტუდენტთა კულტ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მხოლოდ სას.-სამეურნეო ინსტიტუტმა** გამოაცხადა ლაშქრობა კულტურულ ბინებზე, მაგრამ ჯერჯერობით ამ ლაშქრობას სხვა ინსტიტუტები არ გამოხმაურებიან.

დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს სტუდენტთა სასადილოს ნორმალური მუშაობა, წყლის ნორმალური მიწოდება, გაუკეთდეს საცხოვრებლებს მიმდინარე რემონტი, გაუმჯობესდეს საცხოვრებლების სანიტარული და კულტურული მოსამსახურება.

საბჭოთა სტუდენტებს უნდა შევუქმნათ სწავლის საუკეთესო პირობები ასეთია პარტიის ურყევი დირექტივა.

ერთიანი ფრონტის წარმატებანი

პარიზი, 22 ოქტომბერი. „ლუმანიტე" იტყობინება. რომ მთელ რიგ პუნქტებში, სადაც მუნიციპალური არჩევნები მოხდა, ერთიანმა ფრონტმა წარმატებანი მოიპოვა. ჟანე ვილერში (პარიზის გარეუბანი) კომუნისტების სიამ **მეორე ტურში** შეაგროვა **2.468 ხმა** მაშინ როცა რეაქციულმა კანდიდატებმა 2 272 ხმა მიიღეს. სოციალისტებმა მეორე ტურში თავისი სია მოხსნეს.

ვიტრიში (პარიზის გარეუბანი), სადაც დეპუტატად პარლამენტში **ტორეზი** აირჩიეს, **კომუნისტების დეპუტატმა საკანტონო არჩევნების მეორე ტურში** შეაგროვა **9.505 ხმა,** მაშინ როცა რეაქციულმა კანდიდატებმა 7.072 ხმა მიიღეს. კომუნისტთა დეპუტატს მეორე ტურში ხმა მისცა ყველამ, ვინც პირველ ტურში სოციალისტთა სიას დაუჭირა მხარი, და 500-კაცმა, რომლებმაც ხმა მისცეს რადიკალ-სოციალისტებს (ადს).

* * *

ინგლისის მუშათა დელეგაცია ოქტომბრის ზეიმზე

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ინგლისის მუშათა დელეგაცია ოქტომბრის დღესასწაულებზე დასასწრებლად ლონდონიდან გაემგზავრება საბჭოთა კავშირში 27 ოქტომბერს საბჭოთა გემით. დელეგატებს შორის არიან: ურიდი — ფეიქარი გედერსპილდიდან, ვუგი — მექანიკოსი ედინბურგიდან, კუნი — ელექტროტექნიკოსი ვულვიჩიდან, უიმისი — რკინიგზელი, სენტალბანის პროფსაბჭოს თავმჯდომარე, რისი — მადაროელი უელსიდან და გოლუინი — მელითონე ოქსფორდიდან (ადს).

ნაციონალ-სოციალისტების კავშირი

ხორვატელ ტერორისტებთან

პარიზი, 22 ოქტომბერი. „ექსცელსიორი" გადმოგვცემს მთელ რიგ ახალ დეტალებს, რომლებიც ააშკარავებენ **ხორვატელი ტერორისტების კავშირს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტებთან.** დაწესებულებაში, რომელსაც **როზენბერგი** მეთაურობს — წერს გაზეთი, — არის სპეციალური ბიურო, ეგრეთწოდებული „საგამოკვლევო ბიურო". მისი დანიშნულებაა გაალვიოს ყველა სეპარატისტული მოძრაობა ევროპაში. ვიღაც **კოვაჩის** მეშვეობით როზენბერგი 1932 წლიდან დაკავშირებული იყო **პერშეცთან** (იგივე პერიჩი), იანკა პუსტაში (უნგრეთი) მყოფ ხორვატელ ემიგრანტთა ბანაკის ცნობილ უფროსთან და **პაველიჩის** უახლოეს თანამშრომელთან. პერშეცი ხორვატია, ავსტრო-უნგრეთის არმიის ყოფილი ოფიცერია. მან სახელი გაითქვა თავისი მონაწილეობით გერმანიის ფაშისტური ორგანიზაციის „კონსულის" საქმიანობაში.

პერიჩი აღიარებს

პარიზი, 21 ოქტომბერი. როგორც ჰავასს ლიეჟიდან ატყობინებენ, დაპატიმრებული პერიჩი გამოტყდა. რომ იგი პაველიჩისაგან ღებულობდა სხვადასხვა თანხას ხორვატელთა მოძრაობის მოსაწყობად იმ ქალაქებში, სადაც იგი ცხოვრობდა. ლიეჟში თავისი ყოფნა მან იმით ახსნა, რომ იგი ელოდებოდა ფულს ლონდონში გასაგზავნად. ორ ხორვატელს, რომლებიც მასთან ერთად დააპატიმრეს, მისთვის, თითქოს, ეს ფული უნდა გადაეცა (ადს).

პერიჩის კავშირი ბერლინთან

პარიზი, 21 ოქტომბერი. როგორც ლიეჟიდან იუწყებიან, დაპატიმრებულმა ხორვატელმა **პერიჩმა** აღიარა, რომ საფრანგეთში ყოფნის დროს მას საუბარი ჰქონდა **კვატერნიკთან,** რომელიც მარსელის მკვლელობის ერთ-ერთ ორგანიზატორად ითვლება. ამავე დროს იუწყებიან, რომ ბელგიის პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით, პერიჩმა მარტო ლიეჟის ბანკში მიიღო 4.800 ფრანკის ჩეკი. ჩეკი 9 ოქტომბერს გასცა ბერლინში მცხოვრებმა ვინმე **ბუზალოშ.** იგი უნდა ჩაებარებინათ ხორვატელთა ტერორისტული ორგანიზაციის „უსტაშას" კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის — ანიჩისათვის სერბში (ადს).

მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

ლონდონი, 22 ოქტომბერი. „ტაიმსის" უნგრელი კორესპონდენტი, ეხება რა მთავრობის კრიზისს სამხრეთ-სლავიაში, აღნიშნავს, რომ **სამხრეთ-სლავიის არმია წინააღმდეგია ყველა იმ ღონისძიების, რომლებიც შეამცირებდა მის გავლენას.**

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის დიპლომატია დიდ აქტივობას იჩენს სამხრეთ-სლავიაში და რომ გერმანიის პირველი ნაბიჯები სამხრეთ-სლავიაში „ალბათ განმტკიცებული იქნება დიდი მატერიალური სარგებლობის პერსპექტივებით" (ადს).

* * *

სამხრეთ-სლავიის ნოტა უნგრეთს

ლონდონი, 22 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ უნგრეთს გაუგზავნა ნოტა. ნოტა მოითხოვს დაპატიმრებულ იქნას ყველა ხორვატელი ემიგრანტი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი არიან მეფე ალექსანდრეზე თავდასხმის მოწყობის თანამონაწილეები (ადს).

* * *

რუმინეთის მეფის მოკვლის განზრახვა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. გაზ. „ივნინგ სტანდარტი" იუწყება, რომ რუმინეთში აღმოჩენილ იქნა შეთქმულება. რუმინეთის პოლიციამ დააპატიმრა ორი კაცი, რომლებიც ცდილობდენ აეფეთქებინათ რკინისგზის ლიანდაგი, რომელზედაც უნდა გაევლო რუმინეთის მეფის კაროლის მატარებელს (ადს).

* * *

მუსოლინის საუბარი კანიასთან

რომი, 22 ოქტომბერი. მუსოლინიმ მიიღო უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კანია, რომელიც აქ ჩამოვიდა. მათ შორის ხანგრძლივი საუბარი გაიმართა (ადს).

იაპონია-გერმანიის საიდუმლო სავაჭრო შეთანხმება

ლონდონი, 22 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდის" სიტყვით, ლონდონში მიღებულია ინფორმაცია, რომ გერმანიასა და იაპონიას შორის ამ ცოტა ხნის წინათ დაიდო საიდუმლო სავაჭრო შეთანხმება. გერმანია დათანხმდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იაპონიაში **ყოველწლიურად შეიძინოს არა ნაკლებ ერთი მილიონი ტონა** ცერეულისა, ხოლო **იაპონია გერმანიაში შეიძენს ასაფეთქებელ ნივთიერებას, ტყვიამფრქვევებს, საავიაციო მოტორებს და ქიმიურ პრეპარატებს.** ორივე მთავრობამ გადადგა ნაბიჯები, რომ შეთანხმება არ გახმაურდეს. გერმანიის რამდენიმე ფირმამ ამ შეთანხმების საფუძველზე იაპონიიდან უკვე მიიღო შეკვეთები. გაზეთი დასძენს, რომ, გარდა სავაჭრო ხელშეკრულებისა, გერმანიასა და იაპონიის შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით მომავალ წელს **იაპონიაში 500 გერმანელი მფრინავი და ინჟინერი** უნდა გაიგზავნოს (ადს).

უკმაყოფილება ოკადას მთავრობით

შანხაი, 21 ოქტომბერი. იაპონიის გაზეთები აქვეყნებენ სამხედრო მინისტრის **ხაიასის** და მისი მოადგილის **ხასიმატოს** განცხადებას, რომ თუ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს იაპონიის ორგანოების რეორგანიზაციას მანჯურიაში, მას „დაეკისრება პასუხისმგებლობა" იმ შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება ამას მოყვეს. ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ კვანტუნის არმიის სარდალი ხისიკასი, სიმბუნრენგოს სააგენტოს სიტყვით, იძულებული გახდა ერჩია მინისტრთა კაბინეტისათვის „ანგარიში გაეწიოს" რეფორმის მოწინააღმდეგეებს.

ამავე დროს დაიწყო ლაპარაკი კაბინეტის შეცვლის საჭიროების შესახებ.

ოკადამ,—წერს გაზეთი,—ვერ გაამართლა იმედები და იგი უნდა გადადგეს. სამხედრო წრეები, რასაკვირველია, ყოველ ღონეს იხმარებენ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ სასურველი პრემიერი (ადს).

უცნაური შემთხვევა

სტამბოლი, 21 ოქტომბერი. ისმეთ-ფაშა და მთელი რიგი სხვა პირები, რომელნიც თურხალიდან ბრუნდებოდენ ანკარაში გზაში მოიწამლენ საჭმელით. ისმეთ-ფაშა ახლაც შეუძლოდ გრძნობს თავს წარმოებს გამოძიება (ადს).

სურათზე: რევოლუციის მოედანი ბარსელონაში. უკანა პლანზე მოჩანს სასახლე, რომელსაც ყუმბარებს უშენდენ.

* * *

თეთრი ტერორი ესპანეთში

ბერლინი, 22 ოქტომბერი. „ლოკალ ანცეიგერის" კორესპონდენტი, რომელიც გენერალ ოჩოას ჯარებთან ერთად მოხვდა ოვიედოში, იუწყება, რომ მარტო კავალერიის ყაზარმის ეზოში **დახვრიტეს 700 აჯანყებული.** მეორე ადგილას **27 მაღაროელი, რომლებიც ტყვედ ჩაიგდეს იარაღით ხელში, გაუსამართლებლად დააყენეს კედელთან და დახვრიტეს მაროკოს ლეგიონის ჯარისკაცებმა.** კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ აჯანყებულნი გაბედულად ხვდებოდენ სიკვდილს და „წყევა-კრულვას უგზავნიდენ მტრებს" (ადს).

* * *

კულტურული თანამშრომლობა

ვარშავა, 21 ოქტომბერი. პოლონეთის სააგენტოს გადმოცემით, ერთის მხრით უნგრეთის პრემიერ **გემბეშს** და მეორეს მხრით პოლონეთის განათლების მინისტრ **ენჯეევიჩს** შორის დადებულ იქნა პოლონეთ-უნგრეთის კონვენცია კულტურული თანამშრომლობის შესახებ. გადაწყდა შეიქმნას ორივე ქვეყანაში სამეურნეო საკითხების შემსწავლელი კომისია და შერეული კომისია სავაჭრო ურთიერთობის გასაფართოებლად (ადს).

გადაფრენა ინგლისიდან ავსტრალიაში

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ინგლისელმა მფრინავებმა **სკოტტმა და ბლეკმა,** რომლებიც მილდენჰოლიდან (ინგლისი) დარვინში (ავსტრალია) მიფრინდენ, მთელი მანძილი გაიარეს 2 დღესა, 4 საათსა და 38 წუთში. აქამდის, ერთი წლის წინათ, რეკორდი დაამყარა ავსტრალიელმა მფრინავმა **ულმა,** რომელმაც ინგლისიდან ავსტრალიაში გადაფრენას მოანდომა 6 დღე, 17 საათი და 45 წუთი (ადს).

სკოტტმა და ბლეკმა განაახლეს ფრენა

ლონდონი, 22 ოქტომბერი. ინგლისელმა მფრინავებმა, რომლებიც მატორის გაფუჭების გამო დარვინში (ავსტრალია) შეჩერდენ, განაახლეს ფრენა (ადს).

თვითმფრინავ „ფეირი ფოქსის" ავარია

ლონდონი, 22 ოქტომბერი. პალაცო სან ჯერვაზიოს (იტალია) მახლობლად ავარია განიცადა რომიდან გაფრენილმა ინგლისის თვითმფრინავმა „ფეირი ფოქსმა", რომელიც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო საჰაერო შეჯიბრებაში. თვითმფრინავს მართავდენ პილოტები **ხილმანი და ბენცი.** ცეცხლმოდებული თვითმფრინავი სრულიად განადგურდა (ადს).



ავაგოთ „კომუნისტის" ესკადრილია!

სტალინირი: ამხ. პ. აღნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში ასი მანეთი.
ი. ჟვანია.

★

ამხ. პ. აღნიაშვილის გამოწვევით „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში შემომაქვს **100** მანეთი და ვიწვევ: **გუნიავას, ბეჟაშვილს, გურგენიძეს** (თელავი), **თანდილაშვილს** (ყვარელი) **ყურაშვილს** (ტყიბული), **ხ. მხეიძეს** (ტყიბული), **ყანდარელს** (ტყიბული), **მ. ცირეკიძეს** (ტყიბული), **იარალოვს** (წნორი), **ალ. ჯოჯუას** (წნორი), **საძაგლიშვილს** (ყვარელი), **ჰ. იმედაძეს** (ლაგოდეხი), **ჩეკურიშვილს** (გურჯაანიდან), **მანდელოვს, დუმბაძეს ჩარგაზიას, ოქროპირიძეს, ჩარკვიანს, მეტრეველს** (კომბინატი), **ჯანელიძეს** (მუკუზანი), **იორდანიშვილს** (კაჭრეთი).
საქ. კ.პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი **ი. კოჭლამაზაშვილი.**

★

გორი, (ტელეგრაფით). ამხ. პ. აღნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ასი მანეთი ესკადრილიისათვის. ვიწვევ: ცაბაძეს, კალაძეს, ასანიძეს, ბზიავას.
საქ. კ.პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი **ვ. გელაშვილი.**

★

ამხ. გრ. მალანიას გამოწვევით შემაქვს 100 მანეთი და ვიწვევ: **ე. ნოდიას, გრ. გეგეჭკორს, მ. ხოშტარიას, ლორთქიფანიძეს და გარიშვილს.**
ფოთის ნავთსადგურის უფროსი **ფ. ჭპრინკველი.**

★

ხონი (ტელეგრაფით) „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემომაქვს 100 მანეთი ვიწვევ: ამხ. **დავით ხარატიძეს, კოლია შარიქაძეს, ელისაბედ იაშვილს, მიხა შარიქაძეს, თანდილაშვილს** და საქართველოს ყველა ქალაქის საბჭოების და რაიალმასკომების თავმჯდომარეებს.
ხონის რაიალმასკომის თავმჯდომარე **ნადარეიშვილი.**

★

შემომაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 100 მან. და ვიწვევ ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სამიწათმოქმედო ორგანოების და ა.-კ. მიწსახკომის ყველა მუშაკს
დ. გუნიატზადე.

★

ხონი (ტელეგრაფით). ამხ. პ. აღნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს ასი მანეთი.
ს.კ.პ. (ბ) ხონის რაიკომის მდივანი **ს. ბახტაძე.**

★

„კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში ამხ. ანდრო ბუაჩიძის გამოწვევით შემომაქვს ასი მანეთი და ვიწვევ აკაკი ელენტს, **პეტრე ახმეტელაშვილს** (საქ. აბრეშუმტრესტი), **ლადო მანჯგალაძეს, ალ. კეკელიას** (საქ. აბრეშ. მრეწველობის სამმართველო), **ანდრო კილაძეს** (სარეწაო კოოპერაცია), **დათიკო თოთიბაძეს** (აბრეშ. საქ. ფაბრიკა), **გოგი ქუთათელაძეს,** (ა.-კ. მეცხოვ. საგამოკვლ. ინსტიტუტი).
იოსებ დოლიძე.

„საქ. თამბაქოს" შემოაქვს 1000 მან. **„კომუნისტის"** ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად.
დამენია.

★

ამხ. სტალინის სახ. საქ. სას.-სამ. უმაღლეს კომუნისტური სკოლის მსმენელებს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში შეაქვთ 1885 მან.
ე. ჩიქვილაძე.

გურჯაანის რაისაგზაო განყოფილებას შემოაქვს 500 მან. „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში და იწვევს **ლაგოდეხის, ყვარელის, თელავის, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონის საგზაო განყოფილებებს.**
ა. მეტრეველი.

★

საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის გამოწვევით „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად **საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტებს,** მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებს, მუშა-მოსამსახურეებს და ლექტორთა შემადგენლობას შემოაქვს 2.000 მანეთი. ვიწვევთ ა.-კ. კომუნისტურ უმაღლეს სას.-სამ სკოლას.
ინსტიტუტის სამკუთხედი.

★

ამხ. ა. ბუაჩიძის გამოწვევით „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **100 მანეთი** და ვიწვევ: **ამხ. ეფიმოვს,** (ა.-კ. კომ. უმაღ. სკოლის რექტორი) **ბუტირინს, ბუდილოვს, პროფ. ნათაძეს, პროფ. დუბოვსკის; პეტრუშევსკის, მელიქოვს და ნიკ. მახარაძეს.**
ზ. ბრომიკერი.

★

შემომაქვს 100 მანეთი. ვიწვევ: „საქგზატრანსის" ყველა უბნის უფროსებს.
„საქგზატრანსის" მე-2 უბნის უფროსი მ. ბრეგვაძე

★

შემომაქვს 10 მანეთი „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში. ვიწვევ მე-33 შრომის სკოლის მოწაფეებს.
11 წლის პიონერი ჟორა კანკია.

★

შემომაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 10 მანეთი. ვიწვევ: **ნინა ჩუბინიძეს, თამარა მურჯიკნელს, ნინა ჯანელიძეს, ალექსანდრე არსენიძეს, ანიკო კარგარეთელს.**
მარო მშვენიერიძე-მონიავა.

★

შემომაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში 50 მან. ვიწვევ: **პროფ. დ. იაშვილს, პროფ. მ. ფარცვანიძეს, პროფ. დ. აგლაძეს, დოც. ევგ. კანდელაკს, დოც. ნ. ჯაფარიძეს, დოც. თ. ორბელიანს, დოც. პ. გენენავას, დოც. ალ. სანაძეს, პროკოფი ჯაფარიძეს, სერგო მელაძეს, ალ. ბუჩუკურს, ნიკოლოზ ცომაიას, შალვა დადიანს.** (ა.-კ. მეცხ. კვლევითი ინს-ტი), **მათე კუტუბაძეს** (ექსპერიმენტ. ინს-ტი).
ს. თოხაძე.

★

შემოგვაქვს 10 მან. ვიწვევთ: პირველ საცდელ საჩვენებელი სკოლიდან—თ. ყაუხჩიშვილს, ე. ჟორდანიას, ლია მდივანს, ქეთო ციციშვილს, ქ. გარსიაშვილს, თამარა გამყრელიძეს, ბიჭიკო სიდოროპულოს, ოთარ ჟურულს, შალიკო სალარიძეს და ირაკლი ხაბურზანიას.
თინა და ილია კვიჟინაძეები.

★

ამხ. ივ. ვაშაყმაძის გამოწვევით „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში ტფილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს შეაქვს 1000 მანეთი.
გ. ვაწაძე.

★

ფოთის ქალაქის საბჭოს გამოწვევით კოლხიდმშენის სამმართველოს შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 500 მანეთი და იწვევს **საქართველოს წყალთა სამმართველოს (ტფილისი)** და დობაზას.
ემ. ნოდია.

ამხ. პ. აღნიაშვილის გამოწვევით შემომაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად 100 მანეთი და ვიწვევ: ვ. ფაჩულიას, ბ. გოგიას, ვ. კვერნაძეს, ფ. სპრინკველს, მ. უჩანეიშვილს, ა. ადანაიას, ილ. უჩანეიშვილს, კ. ებრალიძეს, გრ. ფანცულაიას, ვარ. პაჭკორიას, თ. მინაშვილს, ვ. ხუნძაძეს და ნეპომნიაძეს.
საქ. კ.პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის მდივანი **გრ. მალანია.**

★

ამხ. გრ. მალანიას გამოწვევით შემაქვს 100 მანეთი. ვიწვევ: ლანჩხუთიდან — **გრიშა დოლიძეს, საშა ებრალიძეს;** ფოთიდან— **ვარლამ თოდუას, როდიონ ქორქიას; ვასილ პაჭკორიას;** საგარეჯოდან — **გიგა ძაბილაშვილს,** სენაკიდან—**სერგო ებრალიძეს, შ. უჩანეიშვილს, რემა შელეგიას;** აბაშიდან—**ალ. პირტახიას;** აჭარისტანიდან —**დათიკო დუმბაძეს და ლეო ჯოჯუას;** ქუთაისიდან—**ევგენი ებრალიძეს.**
კოკი ებრალიძე.

★

ფოთის ქალაქის საბჭოს შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად 500 მან. და იწვევს კოლხიდმშენის სამმართველოს, კოლხიდის ტყემრეწველობას, ნავთსადგურის სამმართველოს, რიონის გადაგდების სამმართველოს, ელიავას სახ. გემთშემკეთებელ ქარხანას, „ზენზოლკლადტროის" და წისქვილის კომბინატს.
ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე **ფაჩულია.**

★

ფოთის ქალაქის საბჭოს გამოწვევით კოლხიდის ტყემრეწვმეურნეობას შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 500 მან. ვიწვევთ ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს, „გრეიფრუტის" საბჭოთა მეურნეობას, ქალაქის მუშკოპს და ხორცის კომბინატს.
ლ. კოკაია.

★

ქ. მახარაძე, (ტელეგრაფით). „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 50 მანეთი. ვიწვევ: „საქ. ჩაის" სისტემაში შემავალ ჩაის ყველა ქარხნის და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და მათ მოადგილეებს.
ქ. მახარაძის ჩაის ქარხნის დირექტორი **აფ. ჯიბუტი.**

★

საქ. კომუნალურ ბანკს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში შეაქვს 1000 მან.
ა. ხელაძე.

★

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გამოწვევით, კოოპერაციის და სახ. ვაჭრობის მუშაკთა პ. კ. ცენტ. გამგეობას შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად 300 მან. ვიწვევთ ჩვენი კავშირის ყველა ადგილკომის თავმჯდომარეებს.
ჟორდანია.

★

ამხ. გიორგი სტურუას გამოწვევით, საქ. სოფ. და საბანკო პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში 300 მან. და იწვევს: ამიერ-კავკასიის ფინსახკომს, **საქ. სახელმწიფო ბანკს, საქ. კომ. ბანკს, საქ. შემნახველ სალაროს სამმართველოს, სამრეწველო ბანკს, ტფილისის ყველა საფინანსო განყოფილებას და შემნახველ სალაროებს.**
გუნია.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გამოწვევით, **ტ.ს.ო.კ. დახურული ქსელის ჯგუფკომს** შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდში 300 მანეთი. ვიწვევთ: **ტ.ს.რ.კ. პურის განყოფილებას, „სარეწაო საბჭოს", ცეკავშირის, საქვაჭრობის, საქკვებვაჭრობის, საქმარაგგასაღების** ადგილკომებს და ჯგუფკომებს.
ე. კარტოზია.

★

„კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად ქ. ტფილისის პედაგოგების დახურული მუშკოოპის თანამშრომლებს შეაქვთ 120 მან. ვიწვევთ: ტრამვაის, **26 კომუნარის ქარხნის, „მკერავის" № 1 და № 2 ფაბრიკების კავშირგაბმულობის, მბეჭდავთა, აბრეშუმის ფაბრიკის, კალინინის სახ. ქარხნის, ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის და „ტფილსოფმრეწვის" დახურულ მუშკოოპებს.**
ტ. დეგედაძე.

★

„კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემომაქვს 50 მანეთი და ვიწვევ: **პროფ. ჩოლოყაშვილს, ასისტენტ ჩხუბიას, ნაშვილს და პროფ. სოლომონ ქურდიანს.**
პროფ. კონ. მოდებაძე.

★

ტფილისის ინდუსტრიალურ მუშფაკს შეაქვს „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად 200 მან. ვიწვევთ: **სატყეო ინსტიტუტს, ენუქიძის სახ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმს, რკინის გზის და სასოფლო სამეურნეო მუშფაკებს.**
ს. როსტიაშვილი.

★

ტფილისის სამხედრო კომისარიატის მუშაკები ესალმებიან ამხ. **ლ. ბერიას** წინადადებას „კომუნისტის" ესკადრილიის აგების შესახებ. შემოგვაქვს 300 მან. და ვიწვევთ **საქართველოს ყველა რაიონის სამხედრო კომისარიატებს და სამობილიზაციო ოლქის სამმართველოს.**
ა. შონია.

★

ფოთის ინვალიდთა კოოპერაციის მუშა მოსამსახურეებმა გააჩაღეს ხელისმოწერა „კომუნისტის" ესკადრილიის ფონდის გასაძლიერებლად. ამ მიზნით ინვალიდთა კოოპერაციას შემოაქვს 500 მან.

ცალკე მუშა-მოსამსახურეებს შემოაქვთ: დარეჯან მგელაძეს—30 მან., გენ. ფანცულაიას; შ. დობორჯგინიძეს; დ. მურადოვს და ვ. ფინთურიას ოც-ოცი მან. ლ. ლომაიას, დ. მელაძეს, ჟ. გეგენავას, ლ. ჯოგუაძეს და ა. კარამურზას 15—15 მან. ლ. გიგიბერიას და ლ. სოლომოვას ხუთ-ხუთი მან. და ს. მიქაბერიძეს, აგრ. სარდაროვს და მ. ცენტერაძეს სამ-სამი მან. თითოს.

ინვალიდთა კოოპერაციამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საქვაჭრობის და სახკვებვაჭრობის ფოთის განყოფილების მუშა-მოსამსახურეები და სარეწაო კოოპერაციის არტელები.

ესკადრილიის მშენებლობის ქრონიკა

ქ. მახარაძე

მახარაძე, (22 ოქტომბერი), „კომუნისტის" მკითხველები აქტიურად ეხმაურებიან ესკადრილიის აგების ინიციატივას. დაარსდა ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტის დამხმარე რაიონული კომისია მ. შაფაქიძის, გ. ულენტის, კ. გოგუაძის, ა. კირცხალიას, შ. ჭანუყვაძის და შ. თავბერიძის შემადგენლობით. გაზ. „ლენინის დროშამ" ფონდში შეიტანა 500 მან. მუშაობა ჩაღდება.
ა. კირცხალია.

ფოთი

ფოთი, 22 ოქტომბერი. მოეწყო „კომუნისტის" ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტის დამხმარე რაიონული კომისია ამხ. კ. ებრალიძის, პაჭკორიას, ჯიბლაძის, ალ. ტულუშის, თავბერიძეს, გრ. ფანცულაიას, ილ. უჩანეიშვილის და ანდრიაძის შემადგენლობით. დაიწყო მუშაობა ფონდის გასაძლიერებლად. „ფოთის მუშას" რედაქცია და კომისია სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ **ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, ლანჩხუთის და ოზურგეთის** გაზეთების რედაქციებსა და დამხმარე კომისიებს.
კ. ებრალიძე.

სტალინისი

სტალინისი. გაზეთ „სტალინისის საყვირის" რედაქცია ღებულობს „სტალინელის" (ქუთაისის) რედაქციის გამოწვევას „კომუნისტის" ესკადრილიის მშენებლობის კამპანიაში ჩაბმის შესახებ. ვკისრულობთ 25 ნოემბრამდე **სამი ათასი** მანეთის შეგროვებას. ვიწვევთ: **სიღნაღის, თელავის, საგარეჯოს, ხევის, დუშეთის, თიანეთის, ბორჯომის, ხარაგოულის, კასპის და ზესტაფონის** რაიონული გაზეთების რედაქციებს.
„სტალინისის საყვირის" რედაქტორი — ხეთაგური.

ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტისაგან

„კომუნისტის" ესკადრილიის მშენებლობის კომიტეტი განუმარტავს ყველა რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებს და დამხმარე კომისიებს, რომ მშენებლობის ფონდში ფულის შეტანის შესახებ უნდა გამოცხადდეს პრესაში მხოლოდ **მას შემდეგ,** რაც ფული **გადარიცხული იქნება** სახელმწიფო ბანკში „კომუნისტის" გამომცემლობის საკონტოკორენტო ანგარიშზე (№ 15041) ან როცა ექნება ფულის გადახდის **სრული გარანტია.**

თვითმფრინავ „კომუნისტის" ასაგებ ფონდში ფული შეტანილი უნდა იქნას სახელმწიფო ბანკში „კომუნისტის" გამომცემლობის საკონტოკორენტო ანგარიშზე № 15041 აღნიშვნით — „თვითმფრინავისათვის" ამასთან. ფული მიიღება აგრეთვე გამომცემლობის კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 34).

* * *

24 ოქტომბრისათვის „კომუნისტის" ესკადრილიის ასაგებ ფონდში შემოსულია სულ 116 305 მ. 7 კაპ.



გაფართოებული და ასფალტ დაფარული არბატის მოედანი მოსკოვში.

პარტიის წმენდა ციფრებში

„პრავდას" სარედაქციო წერილი

10 ოქტომბრისათვის 14 ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკებში, სადაც ამჟამად წმენდა ტარდება, შემოწმებულია პარტიის 454.435 წევრი და კანდიდატი — ამ კომუნისტთა საერთო რიცხვის 70,7 პროცენტი, რომლებმაც წმენდა უნდა გაიარონ.

რკინისგზის ტრანსპორტის პარტორგანიზაციებში შემოწმებულია წმენდაში გასატარებელ რკინისგზელ კომუნისტთა საერთო რიცხვის 72,3 პროც. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პარტორგანიზაციებში — 27,1 პროც.

მხარეებიდან და ოლქებიდან ყველაზე უფრო მალე დაამთავრებენ წმენდას გორკის მხარე (შემოწმებულია 94,1 პროც.), დნეპროპეტროვსკის ოლქი (93,2 პროც.), ჩერნიგოვის ოლქი (92,4 პროც. 1 ოქტომბრისათვის), ყირიმი (92,6 პროც.) და ხარკოვის ოლქი (85,6 პროც.). კომუნისტთა უმრავლესობა შემოწმებულია აგრეთვე დასავლეთ ციმბირში (70,9 პროც.), ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში (63 პროც.), მოლდავიაში (66,6 პროც.) და აზოვშავი ზღვის მხარეში (61,7 პროც.).

ნელა მიმდინარეობს წმენდა შუააზიაში. უზბეკისტანში შემოწმებულია 39,4 პროც. ტაჯიკისტანში — 42,9 პროც., თურქმენისტანში — 10,4 პროც., ყარა-კალპაკსა და ყირგიზეთში — 5 პროც.

წმენდის ნელა მიმდინარეობა შუააზიაში აიხსნება იმით, რომ ძნელი ხდება კომისიების შერჩევა და საჭიროა სხდომების წარმოება ორ ენაზე.

10 ოქტომბრისათვის პარტიის 410.768 წევრიდან და კანდიდატიდან, რომელთა მიმართ დასკვნები დამტკიცებულია რაიონული კომისიების მიერ, გამორიცხულია 77.849 კაცი ანუ 19 პროც., გადაყვანილია თანამგრძნობთა ჯგუფებში 25.301 კაცი — 6,1 პროც.

გარიცხვის ყველაზე უფრო მეტ პროცენტს იძლევიან ყირგიზეთი, ტაჯიკისტანი და ჩერნიგოვის ოლქი.

გარიცხვის ყველაზე უფრო ნაკლებ პროცენტს იძლევიან ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის და ჩერნიგოვის ორგანიზაციები. ხარკოვის ორგანიზაციაში პარტიიდან გარიცხულია 14,6 პროც., გადაყვანილია თანამგრძნობად 6,9 პროც., დნეპროპეტროვსკის ორგანიზაციაში გარიცხულია 16,3 პროც. და თანამგრძნობად გადაყვანილია 6,7 პრ., გორკის ორგანიზაციაში პარტიიდან გარიცხულია პარტიის წევრთა და კანდიდატთა 17,9 პროც., თანამგრძნობად გადაყვანილია 4,3 პროც.

ისე, როგორც 1933 წლის წმენდის დროს, პარტიიდან გარიცხვის უმნიშვნელო პროცენტს იძლევიან წითელი არმიის პარტიული ორგანიზაციები.

რკინისგზის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიიდან გარიცხულია პარტიის წევრთა 18,2 პროც. და კანდიდატთა 5,8 პროც.

საფაბრიკო - საქარხნო ორგანიზაციებში პარტიიდან გამორიცხულია პარტიის წევრთა 16,2 პროც. და კანდიდატთა 21,6 პროც. გადაყვანილია თანამგრძნობად პარტიის წევრთა 1,3 პროც. და კანდიდატთა 18,1 პრ.

ყველაზე უფრო დანაგვიანებული აღმოჩნდა სოფლის პირველადი ორგანიზაციები. საკოლმეურნეო ორგანიზაციებში პარტიიდან გარიცხულია პარტიის წევრთა 23,5 პროც. და კანდიდატთა 29,1 პროც., გადაყვანილია თანამგრძნობად პარტიის წევრთა 1,8 პროც. და კანდიდატთა 19,1 პრ. (ადს).

საშემოდგომო თესვის გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით

საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით

20 ოქტომბრისათვის მთელს საქართველოში საშემოდგომო კულტურები დათესილი იყო 188040 ჰექტარზე, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით.

საბჭოთა მეურნეობებს დათესილი აქვთ 14.656 ჰექტ. (გეგმის 92,5 პროც.), კოლმეურნეობებს — 70869 ჰექტ. (74,8 პროც.), ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს 102,516 ჰექტარი, ანუ გეგმის 64,9 პროც.

თესვას ამთავრებს ტფილისის გარეუბნის რაიონი, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 99,8 პროც. (დათესილია 21277 ჰექტ.), ახალციხის რაიონს შესრულებული აქვს გეგმის 93 პროც., ბაშკიჩეთისას—92,7 პროცენტი; სიღნაღის, საგარეჯოს, გორის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთში თესვის გეგმების შესრულება აღწევს 90 პროცენტს.

თესვაში კვლავ სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი ბორჯომის (11,9 პროც.), დუშეთის (12,4 პროც.), თელავისა (25,9 პროც.) და ყვარელის (37,2 პროც.) რაიონები. უკეთესი მდგომარეობა არც თიანეთისა და კასპის რაიონებშია, სადაც გეგმების შესრულება არ აღემატება 42 პროცენტს.

თესვის დამთავრების უკანასკნელ ვადათ დაწესებულია 25 ოქტომბერი მიუხედავათ ამისა, როგორც ვხედავთ, მთელ რიგ რაიონებს შეუსრულებელი აქვთ გეგმის ნახევარ მეტი.

ამ მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

ჩამორჩენილ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამანქანო-სატ. სადგურის პოლიტგანყოფილებებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის რაციონალურად და სრული დატვირთვის გამოსაყენებლად. არც ერთი დღე, არც ერთი საათი ტყუილ უბრალოდ არ უნდა გაცდეს ტრაქტორი, ფარცხი, გუთანი.

მ. ჯაში

საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივნის მოადგილე

△ △ △ △ △ △

ხელმძღვანელობა პარტიულ სწავლებას

პარტიული მუშაობის გარდაქმნის დედაზრი მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე მდგომარეობს იმაში, რომ პარტორგანიზაციების მუშაობის ყურადღების ცენტრში იდგენ პარტიის წევრები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლი. ეს აყენებს მთელი პარტიის წინაშე ამოცანას იმის შესახებ, რომ პარტიის თვითეული წევრი და კანდიდატი დაეუფლოს მარქსიზმ - ლენინიზმის რევოლუციურ თეორიას.

ამრიგად პარტსწავლების საქმე, ზრუნვა პარტიის წევრების და კანდიდატების იდეური და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად წარმოადგენს პარტიული მუშაობის ერთერთ მთავარ ამოცანას.

1933-34 სასწავლო წლის შეჯამებამ ცხადჰყო ის ფაქტი, რომ სტალინის რაიონის პარტორგანიზაციას მარქსისტულ-ლენინურ სწავლების საქმეში აქვს არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

სასწავლო წლის დასაწყისში პარტ-განათლების ქსელში ჩაბმული იყო 1539 კაცი, გამოშვებული იქნა 1088 მსმენელი, სკოლებს ჩამოსცილდა 451 კაცი. ძლიერ ცუდად იყო საქმე წევრების და კანდიდატების პარტსწავლებაში ჩაბმის მხრივ. პარტიის 932 წევრ-კანდიდატიდან გამოშვებულ იქნა—511 კაცი, ანუ მთელი შემადგენლობის 55 პროც., როგორც ხედავთ, ვერ იქნა შესრულებული პარტიის დირექტივა პარტგანათლების ქსელში პარტწევრების და კანდიდატების ასი პროცენტით ჩაბმის შესახებ.

კოოპერაციის, პურის და კირის ქარხნის, სურამის დასასვენებელ სახლის, მილიციის, სოფ. ქვიშხეთის, ფცის, აბისის და სხვ. პარტორგანიზაციებს მთელი წლის განმავლობაში არ მოუსმენიათ პოლიტსკოლების მუშაობის შესახებ ინფორმაცია. ანდა თუ ისმენდენ, იგი ატარებდა ფორმალურ ხასიათს. აღნიშნულ პარტორგანიზაციების პარტორგები თვითონ გაურბოდენ მეცადინეობაზე დასწრებას, ფიქრობდენ: ჩვენ მაინც „სწავლულები" ვართო.

რაიაღმასკომთან არსებული პარტსკოლა სრულიად ჩაიშალა, მიუხედავად იმისა, რომ აქ თავმოყრილი იყვნენ რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები. თუ აქ ასე იყო დაყენებული მარქსისტულ - ლენინური სწავლება, ადვილი წარმოსადგენია, რაში იქნებოდა ცალკე სოფლებში და კოლმეურნეობებში. ასეთ კურიოზებსაც ქონდა ადგილი: ნაბახტევის და ქვენატკოცის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში პარტიის ზოგიერთმა წევრებმა მოითხოვეს, რომ მეცადინეობაზე დასწრების დროს მათთვის კოლმეურნეობათა გამგეობებს შრომა-დღეები დაეწერათ. ეს ფაქტი განმარტებას აღარ საჭიროებს.

ყველაზე მტკივნეულ ადგილს გასული წლის მუშაობაში წარმოადგენდა პროპაგანდისტთა კადრის საქმე. ამ მხრივ ადგილი ქონდა აშკარა შეუფასებლობას. პროპაგანდისტობა მიჩნეული იყო მეორე-ხარისხოვან პარტიულ დავალებად. ამ მუშაობაში არ იყო ჩაბმული რაიონის საუკეთესო პარტიული აქტივი, რის შედეგად პროპაგანდისტების შემადგენლობა და მათი მუშაობა იყო სრულიად არადამაკმაყოფილებელი.

თვით პროპაგანდისტებიც არ ზრუნავდენ თავიანთ მომზადების დონის ასამაღლებლად, ხშირად მოუმზადებელიც მიდიოდენ მეცადინეობაზე. აი ერთ-ერთი ფაქტი: ქარელის პარტორგანიზაციასთან არსებულ სკოლაში პროპაგანდისტი ამხ. იმნაძე მსმენელებს ასწავლიდა; „**თანამგრძნობთა ჯგუფი ეწყობა დროებით წმენდის დამთავრებამდე, წმენდის დამთავრების შემდეგ დაიშლებაო**" და სხვ.

განა შეიძლება ასეთი ტიპის, „პროპაგანდისტს" მივანდოთ პარტიის წევრების და კანდიდატების იდეური აღზრდის, ამხ. სტალინის მოხსენების პროპაგანდის საქმე? რასაკვირველია, არა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტგანათლების ქსელი გავათავისუფლოთ ასეთი ხალხისაგან. ეს მდგომარეობა გვიკარნახებს სერიოზულად მოვკიდოთ ხელი პროპაგანდისტთა კადრის შექმნას, მოვსპოთ მასში დენადობა, ხელი შევუწყოთ მათ თეორიულ დონის ამაღლების საქმეს, მოვამარაგოთ სახელმძღვანელოებით. ჩავაბათ პროპსემინარების მეცადინეობაში.

სტალინისის რაიკომის ბიურო და აგარის სამ.-სატრ. სადგ. პოლიტგანყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი მიმდინარე წლის პარტგანათლების ქსელის დაკომპლექტებას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გასული წლის პარტგანათლების ქსელის ორგანიზაციის საქმეში დაშვებული შეცდომები უშუალოდ ქსელის დაკომპლექტება ჩაატარეს რაიკომის ინსტრუქტორებმა და პოლიტგანყოფილების მუშაკების პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგთან ერთად.

მიმდინარე წლის მარქსისტულ - ლენინური სწავლების ორგანიზაციის საქმე გავხადეთ პარტორგანიზაციების განსახილველ საგნად, რის შედეგად მივიღეთ ქსელის სწორი ორგანიზაცია, მისი ბინებით, განათებით და სხვა საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფა.

გამოყოფილია პარტგანათლების ქსელისათვის სპეციალური დღეები 1, 7, 13, 21, 27 ყოველ თვეში. ამ დღეებში აკრძალულია პარტკომკავშირული, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების ყოველგვარი თათბირის და კრების ჩატარება. ყველამ უნდა გრძნობდეს, რომ გამოყოფილი დღე პარტიული სწავლების დღეა,—და ვინც ხელს შეუშლის მეცადინეობის ნორმალურ მუშაობას, ის რაიკომისა და პოლიტგანყოფილების მიერ მთელი სისასტიკით დაისჯება.

რაიკომმა და პოლიტგანყოფილებამ საშემოდგომო-საზამთრო პარტგანათლების ქსელის დაკომპლექტების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პროპაგანდისტების კადრის შერჩევის საქმეს. მივაღწიეთ იმას, რომ მუშაობაში ჩავაბით რაიონის პარტაქტივის საუკეთესო შემადგენლობა.

ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პროპაგანდისტი გავხადოთ ცენტრალურ ფიგურად სკოლის მთელ მუშაობაში. იგი არა მარტო პროპაგანდისტი უნდა იყოს, არამედ პარტსწავლების ორგანიზატორიც.

ქალაქის პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტების პროპსემინარის პირველი მუშაობა ჩატარებულ იქნა დამაკმაყოფილებლად და დიდი ინტერესით. პროპაგანდისტები მოვამარაგეთ სახელმძღვანელოებით.

მიმდინარე წლის პარტგანათლების ქსელის ორგანიზაციის მთელ პერიოდში პირველადმა პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით მოკიდეს ხელი პარტსწავლების საქმეს. საჭიროა ასეთივე ზრუნვით მას მოკიდონ ხელი მეცადინეობის მიმდინარეობის დროს. უნდა შემოიღონ, როგორც წესი, ცალკე კომუნისტის თვით-ანგარიში პარტორგანიზაციის, პარტკომის, პარტჯგუფის კრებებზე ცალკე პარტიის წევრების და კანდიდატების იმის შესახებ, თუ როგორ ეუფლებიან სკოლებში განვლილ მასალას.

ორიოდე სიტყვა კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელის შესახებ **კომკავშირის პოლიტგანათლების ქსელი თითქმის მთლიანად ჩაიშალა.** ამაში დანაშაული მიუძღვის კომკავშირის რაიკომს, მაგრამ არა ნაკლები დამნაშავენია ის პირველადი პარტორგანიზაციებიც, რომლებიც არავითარ დახმარებას არ უწევენ კომკავშირს. მათ გონიათ, რომ კომკავშირლების მარქსისტულ - ლენინური აღზრდა პარტორგანიზაციებს არ ეხებათ. უკანასკნელ ხანებში რაიკომმა მიიღო ზომები კომკავშირისთვის კონკრეტული დახმარების აღმოსაჩენად.

რაიკომის პლენუმმა 9 ოქტომბერს სპეციალურად განიხილა საკითხი საგაზაფხულო პარტსწავლების შედეგებისა და საშემოდგომო-საზამთრო პარტგანათლების ქსელის გაშლის მიმდინარეობაზე, სადაც გამომჟღავნებულ იქნა დეფექტები და დაისახა კონკრეტული ღონისძიებები მარქსისტულ-ლენინურ სწავლების მაღალ ხარისხიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად 1934-1935 წელს.

პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ისეთივე პასუხისმგებელი არიან პარტგანათლების ქსელის მუშაობაში, როგორც სხვა სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში. ამიტომ იყო, რომ ამხ. ლ. ბერიამ ჯერ კიდევ 1933 წ. 21 ოქტომბერს თავის წერილში გააფრთხილა ყველა პარტიული ორგანიზაცია: „**პარტიის სამხარეო კომიტეტი აფრთხილებს საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს და უჯრედის ყველა მდივნებს, რომ პარტიული სწავლების ნორმალური მსვლელობისა და მისი მაღალი ხარისხისათვის, მათ აწევს ისეთივე პასუხისმგებლობა, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის ჩატარებისათვის**".

ამხ. ბერიას ეს მითითება ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას შევაიარაღოთ პარტიის წევრები, კანდიდატები, კომკავშირელები მარქს-ლენინურ-სტალინური თეორიით.

ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პარტიული სწავლების საქმეს გავხდით ჩვენი ყოველდღიური პარტიულ მუშაობის საზრუნავ საგნად

აი რა შეძლებია პატიოსან შრომას

კოლმეურნეობის თავმჯდომარის წერილი

როცა კრებაზე ჩვენ „კომუნისტის" და მიწსახკომის კონკურსის პირობები განვიხილეთ საუკეთესო მწყემსზე რომ იყო გამოცხადებული, მაშინ ზოგიერთები ასე ლაპარაკობდენ: „კარგი საქმეა კონკურსი, მაგრამ ძალიან ძნელია სადოლებელ ყოველი ასი ცხვარიდან 95 ბატკნის მიღებაო". მწყემსები **ნიკო გაბაძე და სანდრო ყაჯრიშვილი** კი იჩემებდნენ „თუ კარგად და მონდომებით ვიმუშავებთ, შეუსრულებელი არაფერიაო". ნიკოსა და სანდროს ამ განცხადებას მაშინ ზოგიერთი მათ ჯიუტობას მიაწერდა.

რაკი კონკურსის პირობების შესრულება იკისრეს ნიკო და სანდრო დოლისათვის კარგად მოემზადენ, ფარეხში მიზიდეს თივა, მოაწყვეს კორაკნები, ლასტები ამართეს და დოლის დროს ცხვარს დღედაღამე თავზე დატრიალებდენ.

დოლში 434 ცხვარი ჩავაყენეთ. აქედან მხოლოდ ერთი ცხვარი გაბერწდა. სამმა ცხვარმა ტყუპი ბატკანი მოიგო და არც ერთი არ მოგვკვდა, ასე, რომ 433 ცხვარიდან 438 ბატკანი ავიღეთ. გამართლდა ნიკოსა და სანდროს სიტყვა. კონკურსში, რომ იყო გათვალისწინებული იმაზე 26 ბატკანი მეტი [illegible].

ნიკომ და სანდრომ თავის დროზე გაითვალისწინეს, რომ დოლის კარგად აღება არ ნიშნავდა კონკურსში საბოლოოდ გამარჯვებას, რომ საჭირო იყო მთიდან ფარის უკლებლივ დაბრუნება, ცხვარის და ბატკანის წესიერი მოვლა, მატყლისა და ყველის დამზადების გეგმის შესრულება.

თითქმის ერთი თვეა რაც ნიკო და სანდრო მთიდან ჩამოვიდენ. ცხვარი ყველა მსუქნათ და ჯანსაღათ ჩამოიყვანეს. მთელი წლის განმავლობაში ჩვენ მხოლოდ 4 ცხვარი მოგვიკვდა. გვყავს 430 ბატკანი, რომლისაც დედებში ვერ გამოიცნობ, კონკურსში გათვალისწინებული იყო სადოლებელ 100 ცხვარიდან 5 ბატკანის დანაკლისი, ჩვენთან კი ერთი ბატკანის დანაკლისიც არ გამოდის. პირნათლად შევასრულეთ სახელმწიფო ვალდებულებებიც.

კოლექტივის გამგეობამ კარგი მუშაობისათვის დავაჯილდოვეთ ნიკო გაბაძე 10 შრომადღით და სანდრო ჯანყარაშვილი 5 შრომადღით.

ზამთრისათვის მზათ ვართ. ფარეხი შევარემონტეთ, საკვები მასალა მივზიდეთ, მწყემსებისთვის მოვაწყეთ ახალი კულტურული **ბინა.** მწყემსებს შევაძენიეთ **ნაბადი, შინელი და ქალამნები**



ტფ. გარეუბნის რაიონი: კახიანის სახ. კოლმეურნეობაში ჯიშიანი ღორების კვება.

ნიკომ და სანდრომ კონკურსის ყველა პირობები შეასრულეს. ახლა ვრწმუნდებით, თუ რა შეძლებია პატიოსან და კეთილსინდისიერ შრომას, მონდომებას და საქმისადმი სიყვარულს.

მ. **ტუხაშვილი.**

(სოფ. ბოდბისხევი, სიღნაღის რ. ქართველიშვილის სახ. კოლმეურნეობა).

ამასწინად ჩეხო-სლოვაკიაში გაემგზავრა საბჭოთა ბოქსიორების გუნდი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაატარა პრაგაში რამდენიმე შეჯიბრება ჩეხო-სლოვაკიის ბოქსიორთა საუკეთესო გუნდებთან.

სურათზე: საბჭოთა ბოქსიორები პრაგაში.

პრესის მიმოხილვა

წარმოებას მოწყვეტილი გაზეთი

„პოლიტგანყოფილების ხმა". ზესტაფონი

„პოლიტგანყოფილების ხმა" იძლევა იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ სანამდე შეიძლება მივიდეს გაზეთი, რომელიც მოწყვეტილია წარმოებას და იკვებება მხოლოდ რაიონის აპარატების მუშაკების წერილებით. გაზეთის ყველა ნომერი გადატვირთულია საერთო ხასიათის წერილებით. კოლმეურნეობებიდან მიღებულ კორესპონდენციის დათმობილი აქვს მეოთხე გვერდის უმნიშვნელო ადგილი საერთო სათაურით: „გლეხკორები გვწერენ". მაშინ, როდესაც ამხ. კაგანოვიჩის მითითებათა საფუძველზე პოლიტგანყოფილებათა გაზეთებს გლეხკორები უნდა აკეთებდეს.

ამ საერთო ხასიათის წერილებშიაც ვხვდებით დამახინჯებებს. ავიღოთ შემდეგი ფაქტი. წერილს: „**როგორ გავანაწილოთ სიმინდის და სოიას მოსავალი**" („პ. ხ." № 34) უჭირავს გაზეთის მთელი გვერდი. წერილში ლაპარაკია მხოლოდ წითელარმიელთა ოჯახების, ინვალიდების და საბავშო ბაგეების ფონდების გამოყოფაზე. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 1933 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით კი კოლმეურნეობებს უფლება ეძლევათ გამოყონ განუყოფელი ფონდის (მეცხოველეობის განვითარების მიზნითაც) გასაძლიერებლათ განსაზღვრული რაოდენობის მარცვლეული. გაზეთი უყურადღებოთ ტოვებს სწორეთ ამ მნიშვნელოვან საკითხს.

წერილში: „მოვაწესრიგოთ შრომა არტელებში, საკოლმეურნეო ბრიგადებში, ჯგუფებში" (წერილს უჭირავს გაზეთის მთელი გვერდი) ვკითხულობთ: „არტელის თავმჯდომარე საკოლმეურნეო ბრიგადას აძლევს ყოველ ხუთდღეში დავალებას, საწარმოო დავალებაში ნაჩვენები უნდა იქნეს: სამუშაოს მოცულობა და მისი შესრულების ხარისხი" („პ. ხ." № 30). ამ წინადადებიდან გამოდის, რომ თითქოს ბრიგადის საწარმოო დავალება და 5-დღიური დავალება ერთი და იგივე იყოს. **ეს არ არის სწორი.** ბრიგადის საწარმოო დავალება დგება არა 5 დღის, არამედ მთელი წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოების გათვალისწინებით. არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ საწარმოო დავალება და 5-დღიური განრიგი. ასეთი არასწორი დირექტივებით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობათა ბრიგადებს არა აქვთ შედგენილი საწარმოო დავალებები, რომლის გარეშე შეუძლებელია ბრიგადის ნამდვილ განმტკიცებაზე და გეგმიან მუშაობაზე ლაპარაკი.

გაზეთი სრულიად არადამაკმაყოფილებლათ აშუქებს პარტმასობრივი მუშაობის საკითხებს. ამ საკითხებზე გამოქვეყნებული წერილები ატარებს ზოგად ხასიათს და ნაცვლათ გარკვეულობისა, შეაქვს ბუნდოვანობა პარტმუშაობის გარდაქმნის საქმეში. წერილში: „**იქ, სადაც ცოცხლობს სიხალისე, მონდომება, დაუღალავი მუშაობა, ყველაფერი გაკეთდება**" (№ 29) ნათქვამია: „**მეორე სვირის კოლმეურნეობაში პირველად პარტორგანიზაციამ ნამდვილათ გარდაქმნა მუშაობა მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა საფუძველზე. ორგანიზაციაში ირიცხება 2 წევრი და 2 კანდიდატი... არტელში 3 საწარმოო ბრიგადაა. ყველა ბრიგადაში გამოყოფილია პარტორგი**".

პირველ ყოვლისა სწორეთ ამ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მაგალითზე ამტკიცებენ, რომ მე-17 ყრილობის დადგენილება დამახინჯებულია. იქ სადაც ორი წევრი და ორი კანდიდატია პირველადი პარტორგანიზაციის ნაცვლად უნდა შექმნილიყო პარტკომკავშირის ჯგუფი. თუ როგორ მოხდა პარტიის 2 წევრის განაწილება 3 ბრიგადაში და „პირველადი პარტორგანიზაციაში" პარტორგებათ, ამის საიდუმლოების შესახებ გაზეთი არაფერს ამბობს.

გაზეთი ზოგჯერ იჩენს შემარიგებლობას ამა თუ იმ აღმაშფოთებელ ფაქტების მიმართ. კორესპონდენციაში: „აკაკი გოგლიჩიძე ქალების მუშაობას არ აფასებს" (პ. ხ. № 22) აღწერილია გოგლიჩიძის უხეში დამოკიდებულება დამკვრელ კოლმეურნე ქალის ნატალია გოცაძისადმი. ეს უკანასკნელი რამოდენიმეჯერ აუტირებია თავისი უხეში სიტყვებით გოგლიჩიძეს. გაზეთი კი დაასკვნის: „ეს ამხანაგები ვერ აფასებენ ქალების მუშაობას". ასეთი „ლიბერალური ტონი" მებრძოლ გაზეთს არ შეეფერება.

მოხდენილი სათაურების მიცემაზე გაზეთის რედაქტორი (ამხ. ბუაჩიძე) ნაკლებად ზრუნავს. ვხვდებით ასეთ სათაურებსაც: „**პარტიამ სთქვა, კოლმეურნეობა არ არის ენუქას დუქანი**"-ო.

დასკვნა ნათელია: „პ. ხ." ვერ წარმოადგენს პოლიტგანყოფილების მებრძოლ ორგანოს, მისი მუშაობა ვერ სდგას მოწოდების სიმაღლეზე. პოლიტგანყოფილების მუშაობის სტილი არ სჩანს გაზეთში. რედაქციას დღემდე ვერ გარდაუქმნია მუშაობა ახლებურად, პარტიის მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ზესტაფონის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილებამ უნდა მიიღოს კონკრეტული ღონისძიებანი „პ. ხ." მუშაობის რადიკალურად შესაცვლელად.

△ △ △ △ △

გრ. აროსია

მფრინავი გოგონა

ამბავს გეტყვით, მეგობრებო, მართალს,
თვითმფრინავს რომ ქალიშვილი მართავს.
უზარმაზარ პროპელერის ხმაზე,
ვარსკვლავები კანკალებენ ცაზე.
ის უსაზღვრო ჰაერეთში ცურავს,
არწივივით მძლავრ ფრთებს კოხტად
სწურავს.
ყორანივით შავ ღრუბლების ნახევს-
გააშუქებს ქალიშვილის სახე.
მთვარის შუქი მარსის სხივს არ ინდობს,
გმირი ქალი მაღლა დასეირნობს.
ცაში მრავალ ჯანსაღ ფიქრებს მოქსოვს,
ესტუმრება ლენინგრადს და მოსკოვს.
სიმაღლიდან ქვევით უმზერს ბაღებს
„კომუნისტი"-თ გასჭრის ლურჯ ცის
თაღებს.
ლამაზს ცაზე დაჰკრავს ნელი სიო
გადალახავს ამაყ კავკასიონს.
ქარიშხლის დროს მტრებს არ
შეიბრალებს,
გაუმარჯოს სახელოვან ქალებს!
მომქუხარე პროპელერის ხმაზე
ვარსკვლავები კანკალებენ ცაზე.

პროფ. შ. მიქელაძე

ექიმთა გადამზადების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი

პარტიის მე-17 ყრილობაზე მსოფლიო პროლეტ. ბელადმა ამხ. ი. სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში მკაფიოდ და ნათლად აღნიშნა ის ნაკლი, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობს ექიმთა კადრების მომზადების საქმეში.

საკავშირო ცაკის 1934 წლის 3 სექტემბრის დადგენილებაში ექიმთა მომზადების შესახებ ამხ. ი. სტალინის ამ მითითების მიხედვით გამომუშავებულია მთელი რიგი კონკრეტული ზომები ექიმთა კადრების წესიერი და მიზანშეწონილი მომზადების შესახებ. იმავე დადგენილებაში მკაფიოდ არის აღნიშნული აგრეთვე ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება და ამ მიზნით დასახულია განსაზღვრული კონკრეტული ზომები.

პრაქტიკულად მომუშავე ექიმის გადამზადება, მისი კვალიფიკაციის ამაღლება უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან მედიცინა მეცნიერების ერთ-ერთი ისეთი დარგია, სადაც წინსვლა და პროგრესი შედარებით სწრაფი ტემპებით ხორციელდება. ის ექიმი, რომელიც თავის ცოდნას არ აღრმავებს, მედიცინის თანამედროვე მიღწევებს თვალყურს არ ადევნებს, ამ მიღწევებით არ სარგებლობს ავადმყოფთა ჯანმრთელობის აღსადგენად და მათი ტანჯვისა და ტკივილების შესამსუბუქებლად და მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რაც იდესღაც, თავის სტუდენტობის დროს შეუსწავლია, თანდათანობით კარგავს მეცნიერული მუშაობა - აზროვნების უნარს და უბნის ხელოსნად იქცევა — ფერშლის მაგვარად.

ამიტომ ყოველი საბჭოთა ექიმი უნდა ცდილობდეს თავისი ცოდნა აიმაღლოს და დაეწაფოს სამედიცინო მეცნიერების ახალ და ახალ მიღწევებს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე თვითეული ექიმის კერძო საქმედ არის მიჩნეული. მართალია, იქ მოწყობილია ექიმთა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ჩვეულებრივად ძლიერ ხანმოკლე, მაგრამ ამ კურსებს აწყობს არა სახელმწიფო, არამედ კერძოდ ესა თუ ის პროფესორი ან უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კორპორაცია. ასეთი კურსები ფასიანია და მათი მოსმენა არ არის სავალდებულო პრაქტიკულ ექიმებისათვის. ეს თვითეული ექიმის კერძო საქმეს შეადგენს. თუ მას სურს კვალიფიკაცია აიმაღლოს, იგი ისმენს მისთვის საინტერესო და საჭირო კურსს.

სულ სხვა გვარად არის დაყენებული საქმე საბჭოთა კავშირში. სოფლად მომუშავე ექიმების სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის ამაღლება, მათი თეორიული გადამზადება და პრაქტიკული გადახალისება ჩვენს კავშირში ექიმთა კერძო საქმედ კი არ არის ცნობილი, არამედ აღიარებულია **სახელმწიფო მნიშვნელობის** საქმედ, ვინაიდან ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება საჭიროა არა მარტო თვით ექიმისათვის, არამედ უმთავრესად საჭიროა მშრომელთა მასებისათვის, რომელთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა ამ ექიმებს აქვთ დაკისრებული.

ამიტომ საბჭოთა კავშირში ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე დიდი ხანია იპყრობდა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის ორგანოების ყურადღებას და ამ მიზნით რსფსრ. რ-ში და უკრაინაში რამოდენიმე **სპეციალური ინსტიტუტი** იქნა დაარსებული.

განსაკუთრებული ყურადღება ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას ექცევა საკავშირო ცაკის 1934 წლის 3 სექტემბრის ზემოდ დასახელებულ დადგენილებაში. ამ დადგენილებით სოფლის ექიმების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება მათთვის სავალდებულოდაა აღიარებული ყოველი 3 წლის განმავლობაში და ამ სამეცნიერო მივლინების დროს ექიმს ენიშნება სტიპენდია, ეძლევა ბინა და მთლიანად ენახება ხელფასი სამსახურის ადგილებზე.

ჩვენში, საქართველოში, ექიმთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს მხოლოდ გასულ წელს ჩაეყარა საფუძველი. 1933 წ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ტფილისის სამედიცინო ინსტიტუტთან დააარსა **ექიმთა გადამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები**, რომელიც წარსული სამოსწავლო წლის განმავლობაში 50 ექიმმა გაიარა. ამათში 18 იყო თერაპევტი, 5-ქირურგი, 8-პედიატრი, 7-მეან-გინეკოლოგი და 11-რენტგენოლოგი. რა თქმა უნდა, ასეთი რიცხვი კურსების მსმენელ ექიმებისა მეტად მცირეა და აიხსნება ორი გარემოებით. პირველი და მთავარი ისაა, რომ საბჭოთა ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები არ აქცევდენ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებას სათანადო ყურადღებას და ამას თითქოს ექიმთა კერძო საქმედ თვლიდენ. ამიტომ მიუხედავად მრავალჯერ მოგონებისა, ისინი მაინც არ გზავნიდენ კურსებზე ექიმებს. მეორე დამაბრკოლებელი გარემოება თვით ექიმების, თუ შეიძლება ითქვას, ინერტობა იყო. ადგილობრივ მუშაობით დატვირთული და ზოგან, სამწუხაროდ, პრაქტიკით გატაცებული ექიმი არ სტოვებდა 3-4 თვით თავის სამსახურსა და საცხოვრებელ ადგილს და არ იჩენდა სურვილსა და მისწრაფებას თავის კვალიფიკაციის ამაღლებისა.

ამგვარად, ვერც ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები და ვერც თვით ექიმები სათანადოდ ვერ აფასებდენ ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს, როგორც საერთოდ სახელმწიფოსათვის და მშრომელი ხალხის საჭიროებისათვის, ისე თვით ექიმებისათვისაც.

საკავშირო ცაკის 3 სექტემბრის დადგენილების შემდეგ ასეთ შეუფასებლობას ექიმთა კვალიფიკაციის საქმეში ბოლო ეღება და ეს დიდი და მნიშვნელოვანი საქმე ახალ რელსებზე დგება. ტფილისში ისე, როგორც კავშირის სხვა ცენტრებშიაც, უნდა მოეწყოს **ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური ინსტიტუტი.**

საქართველოში დაახლოვებით 3000-მდე ექიმია. ამათში 2000-ზე მეტი რაიონებში მუშაობს. ამ 2000 ექიმიდან საგრძნობ ნაწილს სამედიცინო ინსტიტუტი დამთავრებული აქვს უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში, სწორედ იმ დროს, როდესაც სწავლის ვადების შემცირების, ე. წ. ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდის დამახინჯებულად გატარებისა და მკურნავექიმთა მომზადების საჭიროების შეუფასებლობის გამო, ახლად დამთავრებულ ექიმთა მეცნიერული კვალიფიკაცია და პრაქტიკული მომზადება დაქვეითდა, რაც მკაფიოდ არის აღნიშნული საკავშირო ცაკის 3 სექტემბრის დადგენილებაში. „ექიმთა მომზადების შესახებ".

ყველა ამ ექიმების გადამზადება უნდა მოხდეს მოკლე ხანში. გარდა ამისა, ყოველ წლიურად სამედიცინო ინსტიტუტი უშვებს კიდევ ექიმებს. 3 წლის შემდეგ მათაც დასჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება, რათა არ ჩამორჩენ სამედიცინო მეცნიერებას და 3 წლის განმავლობაში თავის პრაქტიკული მიღწევების დროს მიღებული საექიმო გამოცდილება მედიცინის ახალი მიღწევების შესწავლით კიდევ უფრო გააფართოვონ და თავისი ცოდნა კიდევ უფრო გააღრმავონ.

ასევე საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლება ტფილისში მომუშავე იმ ექიმთათვისაც, რომელნიც არ მსახურობენ კლინიკებსა და დიდ საავადმყოფოებში და მოღვაწეობენ მხოლოდ რაიონებში ანდა ამბულატორიებში.

თუ სოფლისა და საერთოდ რაიონის ექიმთათვის მივლინება უნდა იქნეს მოწყობილი წარმოებისგან დროებით მოშორებით, ტფილისელ ექიმთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობა შეიძლება წარმოებისგან (სამსახურის ადგილის) მოუშორებლადაც: საღამოობით იმ ექიმთათვის, რომლებიც დილით მსახურებენ, და დილაობით იმ ექიმთათვის, რომლებიც საღამოობით მსახურებენ.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება უნდა სწარმოებდეს ცალ-ცალკე ცოდნის დარგების მიხედვით. დღეს მშრომელთა მასების, არა მარტო ქალაქის წარმოებების მუშებისა, არამედ თვით კოლმეურნე გლეხების, მოთხოვნილება შესამჩნევად გაიზარდა. ამჟამად ისინი უკვე მხოლოდ ექიმს კი აღარ ეძებენ, არამედ მოითხოვენ ექიმს — სპეციალისტს; თერაპევტს, ქირურგს, პედიატრს, მეან-გინეკოლოგს და სხვ. რათა უფრო კვალიფიციური დახმარება მიიღონ. ეს სასიხარულო მოვლენაა, ეს ჩვენი **ხალხის წინსვლისა და წარმატების აშკარა მაჩვენებელია.**

ამიტომ ექიმთა გადასამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტში უნდა მოეწყოს კურსები (ოთხ-ოთხთვიანი ან სამ-სამთვიანი სპეციალობის მიხედვით) მედიცინის სხვადასხვა დარგიდან, რომ პროვინციაში მომუშავე ექიმს შეძლება მიეცეს გაღრმავოს თავისი ცოდნა მედიცინის იმ დარგში, რომელშიაც იგი უმთავრესად მუშაობს. რა თქმა უნდა, საჭიროების მიხედვით მას შეძლება უნდა ქონდეს შეისწავლოს მის სპეციალობასთან მოსაზღვრე დისციპლინებიც.

ექიმთა კვალიფიკაციის ასამაღლებელმა ინსტიტუტმა უნდა მოაწყოს აგრეთვე სხვა ხასიათის კურსები ტფილისისა და საქართველოს იმ ექიმთათვის, რომლებიც კლინიკებში და დიდ საავადმყოფოებში მუშაობენ და რომლებიც შედარებით მაღალი კვალიფიკაციისა არიან. ასეთი ექიმებისათვის უნდა მოეწყოს ხანმოკლე (ორკვირეული ან ორ დეკადური) კურსები ცალ-ცალკე სპეციალობის განსაზღვრული ვიწრო დარგიდან მეცნიერების უახლოესი მიღწევებისა და ეს კურსები უნდა ჩატარებულ იქნეს. როგორც ადგილობრივი პროფესორების ძალებით, ისე ამ მიზნისათვის განსაკუთრებით მოწვეული მეცნიერებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან. ამ ხანმოკლე კურსებზე პროფესორი წაიკითხავს მოხსენება-ლექციას მხოლოდ ისეთი საკითხების შესახებ, რომლებითაც იგი განსაკუთრებითაა დაინტერესებული და რომლებზედაც იგი სპეციალურად მუშაობს. ასეთი ხანმოკლე კურსები, რათქმა უნდა, უმთავრესად სასარგებლო იქნება მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის ექიმთათვის.

არის კიდევ ერთი საქმე, რაც აგრეთვე ექიმთა გადასამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტს უნდა დაეკისროს, — ეს მოკლევადიანი კურსების ჩატარება. (5 დღიური მაგალითად) რაიონულ დიდ ქალაქებში, როგორიც არის, მაგალითად, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი, ფოთი და სხვა მედიცინის ახალი მიღწევების შესახებ. ასეთი ლექციები ჩვენს რაიონებს გამოაფხიზლებს და ადგილობრივ საექიმო ძალებს ახალ იმპულსებს მისცემს.

ასეთი უნდა იქნეს ექიმთა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტის მომავალი მუშაობის გეგმა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რამდენად დიდი მნიშვნელობისა და უაღრესად სახელმწიფოებრივ საქმეს ეყრება საფუძველი. ეს კი მოითხოვს თავიდანვე სწავლების საქმის კარგად დაყენებას და მსმენელთა კულტურული და ყოფაცხოვრებითი პირობების საფუძვლიანად მოწესრიგებას.

მომავალში ინსტიტუტს უნდა ექნეს საკუთარი სამეცნიერო და კლინიკური ბაზები, ჯერ-ჯერობით კი იგი ისარგებლებს სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებით, დიდი საავადმყოფოებით და საკვლევაძიებო ინსტიტუტებით.

შემდეგ ინსტიტუტს უნდა ექნეს კარგი წიგნთსაცავი, სადაც უნდა იქნეს შეგროვილი ყველა სამეცნიერო სამედიცინო თანამედროვე ლიტერატურა მედიცინის ყველა დარგიდან — ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. ინსტიტუტმა უნდა მოაწყოს თავის მსმენელთათვის კარგი სამკითხველო, სადაც რაიონიდან ჩამოსულ ექიმს შეეძლება ექნება გაეცნოს ყველა თანამედროვე პერიოდულ გამოცემებს.

უნდა მოეწყოს ინსტიტუტთან აგრეთვე მოვლინებულ ექიმთათვის საერთო საცხოვრებელი, სადაც მათ შეეძლებათ კულტურულად იცხოვრონ თავისი სამეცნიერო მივლინების დროს. იქვე უნდა იქნეს მოწყობილი სასადილო, სადაც მივლინებულ ექიმს შეძლება ექნება იაფად მიიღოს ჯანსაღი და კარგი კვება.

ასეთი უნდა იქნეს ჩვენი **მომავალი ინსტიტუტი.** ჯანსახკომის ინიციატივა, პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ფართო დახმარება ამ დიდი საქმის მოწყობაში იმედს იძლევა, რომ მოკლე ხანში ტფილისი გადაიქცევა ახალი სამეცნიერო - საექიმო დაწესებულებით, რომელიც საქართველოს ექიმთათვის მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად გახდება.

◆

ირ. ხუხუა

ჩაის საშემოდგომო სამუშაოებს შეუნელებელი ყურადღება

ჩაის საზაფხულო სამუშაოები დამთავრდა. დადგა საშემოდგომო სამუშაოების მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი: ჩაის თესვის ჩატარება 576 ჰექტარზე, დაღუპულ პლანტაციების აღდგენა 219 ჰექტარზე, გამეჩხერებული პლანტაციების კაპიტალური რემონტი 2.378 ჰექტარზე, პლანტაციების მიმდინარე რემონტი 2.589 ჰექტარზე, საზამთრო გადაბარვა 13.032 ჰექტარზე და ჩაის თესლის დამზადება, — აი ამ საშემოდგომო სამუშაოთა ძირითადი სახეები, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნას უახლოეს მომავალში.

მესამე წელიწადია, რაც საქართველოში ტარდება ჩაის საშემოდგომო თესვა. გასულ წლებში ჩაის თესვის ძირითადი ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ ნიადაგს არ ამზადებდენ წესისამებრ. ჩაის თესვა ხშირად ტარდებოდა ისეთ ნაკვეთებზე, სადაც არ იყო გაყვანილი სადრენაჟო კვლები. ამჟამად ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა ეს ნაკლოვანებანი თავიდან ავიცილოთ და ჩაის თესვა სანიმუშოდ ჩავატაროთ. **ჩაის თესვა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს იმ ნაკვეთებზე, რომლებიც მომზადებულ იქნა მიმდინარე წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე.**

საჭიროა კოლმეურნეობებმა, რომელთაც მიცემული აქვთ ჩაის თესვის საშემოდგომო გეგმა, გასწმინდონ ნიადაგები, გადახნან, დაგეგმონ, შემოაკავონ. აუცილებლად გაიყვანონ წყალსაწრეტი თხრილები და დაამზადონ სათანადო ჩხირები. ჩაის თესვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დაჭაობებულ ადგილებში, ვინაიდან ამ შემთხვევაში შესაძლოა თესლი დაიღუპოს და შრომამ უქმად ჩაიაროს.

რაც შეეხება **პლანტაციების რემონტს და აღდგენას**, ამ დარგში საჭიროა საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა შეარჩიონ აღსადგენი ფართობი შემოდგომისათვის და დაუყოვნებლივ შეუდგენ აღსადგენ ფართობზე ნიადაგის მომზადებას (ღრმად მოხვნას და გადაბარვას) და უზრუნველყონ სადრენაჟო კვლების დროზე გაყვანა.

რემონტის ჩატარების დროს გასულ წლებში დეფექტები იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ღონისძიების გატარებისას ნიადაგს წესიერად არ ამზადებდენ და იმ ადგილებში, სადაც რემონტის მიზნით ჩაი დაითესა, არ ასობდენ ჩხირებს.

ეს ნაკლოვანება გადაჭრით უნდა იქნას თავიდან აცილებული. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩხირების ჩასობას იქ, სადაც რემონტის დროს ჩაის ახალი თესლი იყრება. ეს ჩხირები საჭიროა იმისათვის, რომ გაზაფხულზე ჩაის ძველი პლანტაციების გათოხნისას შეუმჩნეველი არ დარჩეს ახლად დათესილი ჩაის მცენარე და ბალახთან ერთად არ მოსხვრან ის.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით **ჩაის თესლის დამზადების** გეგმა დამტკიცებულია ბათომის, ქობულეთის, მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, გალის, სენაკის და ზუგდიდის რაიონებისთვის. განსაზღვრულ რაიონებში ჩაის თესლი მზადდება იმიტომ, რომ უზრუნველყოფილ იქნას **კარგი ხარისხის თესლის მიღება**. ზემოდ ჩამოთვლილ რაიონებში კი ამ მხრივ არის ხელსაყრელი პირობები.

ცალკე კოლმეურნეობებამდის თესლის დამზადების გეგმის დაყვანასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს **იმ პლანტაციების გულდასმით შერჩევას, საიდანაც უნდა შეგროვდეს თესლი**. გეგმის უფრო ადვილად და სწრაფად შესრულების მიზნით შეიძლება აქა-იქ შეეცადონ თესლის მოკრეფას ყველა პლანტაციებიდან, მიუხედავად ჩაის ბუჩქის მდგომარეობისა და თესლის ხარისხისა.

ეს ყოვლად დაუშვებელია. **თესლი უნდა მოიკრიფოს სრულიად ჯანსაღ პლანტაციებიდან**, და არავითარ შემთხვევაში ისეთი ბუჩქებიდან, რომლებიც სათესლედ უვარგისადაა ცნობილი.

ჩაის საშემოდგომო სამუშაოებში დიდი ადგილი უჭირავს **პლანტაციების ღრმა გადაბარვას და მინერალური სასუქის შეტანას**. ამიტომ, ცხადია, ამ საქმეს ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

გადაბარვისა და სასუქის შეტანის დარგში გასულ წელს ასეთი მდგომარეობა გვქონდა: გარდა **ზუგდიდის** რაიონისა, საზამთრო გადაბარვის დროს თითქმის არსად არ დაუცავთ სათანადო ხარისხი. მხოლოდ ზუგდიდის რაიონმა შეძლო მთელ ფართობზე საზამთრო გადაბარვა სათანადო სიღრმეზე (ბარით) ჩაეტარებია. **სენაკის** რაიონში რომ ჩაის მოსავლიანობა დაბალია, ამის ერთერთი ძირითადი მიზეზია საზამთრო გადაბარვის ცუდად ჩატარება.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა საშემოდგომო საზამთრო **გადაბარვა წარმოებდეს არა ნაკლებ 15 სანტიმეტრის სიღრმეზე**. რაც შეეხება სასუქს, ის შეტანილი არ უნდა იქნას იმ პლანტაციებში, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის სადრენაჟო კვლებით. ამ კვლების გაყვანასთან ერთად საჭიროა არსებული კვლების გაღრმავება-გაწმენდა.

რაც შეეხება **ჩაის უხეში ფოთლის დამზადებას**, იგი მიმდინარე წელს ტარდება მხოლოდ **აჭარისტანში, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებში.**

როგორც სადირექტივო ორგანოების სათანადო დადგენილებაშია აღნიშნული, მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უხეში ფოთლის მოკრეფას იმ პლანტაციებიდან, რომელიც გაშენებულია 1930 წლამდე ჩათვლით. უხეში ფოთლის კრეფა უნდა სწარმოებდეს **ცალკე პლანტაციების მდგომარეობის მიხედვით**. ამასთანავე საჭიროა მტკიცედ იქნეს დაცული უხეში ფოთლის კრეფის ვადები, რადგანაც ამ სამუშაოს გაგრძელება 15 ნოემბრის შემდეგ **შეუძლებელია**. ეს იმიტომ, რომ ყინვები დააზიანებს იმ ყლორტებსა და ბუჩქებს, რომლებიდანაც უხეში ფოთლის მოჭრა სწარმოებს.

ჩაის საშემოდგომო სამუშაოებიდან განსაკუთრებული ჩამორჩენაა **ნიადაგის მომზადებაში**. საკოლმეურნეო სექტორში ჩაისათვის ნიადაგის მომზადების წლიური გეგმა შესრულებულია 39,9 პროც. პირდაპირ სამარცხვინო მდგომარეობაა ამ მხრივ **ხონის** რაიონში, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 1,7 პროცენტით. ძლიერ ჩამორჩენილია აგრეთვე **სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, ოჩამჩირის, გალის და წალენჯიხის რაიონები.**

ამ ჩამორჩენას ადგილობრივი ორგანიზაციები იმით ხსნიან, რომ გადატვირთული ვართ მიმდინარე სამუშაოებითო. მაგრამ ეს არ არის სწორი. ამას ამტკიცებს ბათომის, ქობულეთის, ჩხოროწყუს და მარტვილის კოლმეურნეობათა მაგალითები, რომელნიც უკვე ამთავრებენ ჩაისათვის ნიადაგის მომზადებას.

ეს მდგომარეობა ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს გადამჭრელი ზომები მიიღონ ჩაისათვის ნიადაგის მომზადების და აგრეთვე სასუქის შეტანის დავალების უკლებლივ შესასრულებლად, რაც სადირექტივო ორგანოების მიერ თავის დროზე მიეცა ჩაის რაიონების ხელმძღვანელ ორგანიზაციებს.

— : —

ჩვენ ამ წერილში შევეხეთ ჩაის საშემოდგომო სამუშაოთა ძირითად ამოცანებს. ამ კონკრეტული ამოცანების ვადაზე შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და პლანტაციების გაფართოებისათვის. ამ სამუშაოების შესრულება მოითხოვს სისტემატიურ, სერიოზულ, დაძაბულ მუშაობას.

ჩაი დიდი შრომის ტევადი კულტურაა. არ შეიძლება ამ კულტურას გაეწიოს წესიერი მომსახურება, თუ ადგილობრივი ორგანიზაციები შემოდგომაზე შესვენებას მოინდომებენ და თვითდინებას მიეცემიან. არავითარ შესვენებასა და დემობილიზაციურ განწყობილებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ახლა წყდება მომავალ წელს ჩაის კიდევ უფრო მეტი მოსავლის მიღების საქმე.

ამ საქმის წარმატება კი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით შეასრულებენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციები ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს.

კულტურისა და დასვენების ახლად გაშენებული პარკი სტალინირში (სამხრეთ-ოსეთი)

შ. გუარიძე

წყალტუბო

წყალტუბოს, როგორც კურორტს დიდი ისტორია აქვს. მაგრამ მისი კეთილმოწყობა მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოები საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ცნობილ 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ.

გათხრილი იქნა 4 კილომეტრის სიგრძის არხი, რომელშიაც გადმოგდებული იქნება მდ. წყალტუბო და ამით აბანოები დაცული იქნებიან წვიმის წყლით ავსებისაგან ცუდ ამინდში. კურორტზე გაყვანილია გუდრონის გზა, რითაც ავადმყოფები თავისუფლდებიან ტალახის ზელვისაგან. დაწყებულია კურორტის ტერიტორიის გამწვანება, გაშენებულია ყვავილნარები, 75 ჰექტარზე ჩაყრილია ტყე. რაც მთავარია, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალტუბოს რკინის გზის შტოს მშენებლობა. რაც ახლო ხანში დამთავრდება და რამდენიმე თვის შემდეგ წყალტუბოში შესაძლებელი იქნება მატარებლით შესვლა.

დაწყებულია საკავშირო პროფსაბჭოს დიდი სანატორიუმის აგება 500 კაცისათვის. შენდება და უახლოეს ხანში დამთავრდება ახალი აბანო ცალკე კაბინებით გულით დაავადებულთათვის.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ წვეთია ზღვაში. მოთხოვნილება წყალტუბოს წყლებზე ისე გაიზარდა, რომ მისი არსებული მოწყობილობით დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. შარშან წყალტუბოში გატარდა 20 ათასი ავადმყოფი, წელს ავადმყოფთა რიცხვმა უკვე 30 ათასს გადააჭარბა. საიდან არ ნახავთ აქ ავადმყოფს! ხაბაროვსკი და ბათომი, მურმანსკი და ერევანი, ლენინგრადი და ბაქო, მოსკოვი და ფოთი, ხარკოვი და განჯა,— ყველა აქეთ გზავნის რევმატიზმით ხელფეხ გაკავებულებს, რადგან იციან წყალტუბოს წყლების სასწაულმოქმედება. წყალტუბოში საკაცეთი მოჰყავთ ავადმყოფები, იქიდან კი „მკვდრეთით აღმდგარი" ბრუნდებიან.

ამან წყალტუბოს არაჩვეულებრივი სახელი გაუთქვა. წელს ამ პატარა კურორტზე უცხოელებიც კი გამოჩნდენ, მათ შორის იყო „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი ბ—ნი ვოლტერ დიურანტი, რომელმაც მკურნალობის დამთავრების შემდეგ აღფრთოვანებული დეპეშა აფრინა ამერიკაში. წყალტუბო საერთაშორისო გზაზე გამოდის და ეჭვი არ არის, მალე დაჩრდილავს ყველა მსოფლიო კურორტს, რადგან ასეთი დებეტიანი (5,5 მილიონი ვედრო დღე-ღამეში) და ასე სწრაფად მომქმედი რადიაქტიური წყალი არ არის არსად მსოფლიოში.

წყალტუბოს წინ უდიდესი მომავალი იშლება, მაგრამ დღესდღეობით მას ბევრი რამ აკლია. **უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წყალტუბოში არ აგებულა არცერთი მეტრი საცხოვრებელი ფართობი ჩამოსულ ავადმყოფთათვის.** პირიქით, საბინაო ფონდი ძველი სახლების დანგრევით საგრძნობლად შემცირდა. არსებული სამი სანატორიუმი დახლოებით 400 კაცის ტევადობით ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილობას.

კურორტს არა აქვს წყალსადენი და კანალიზაცია. წყალტუბოში ბევრია სამკურნალო წყალი, მაგრამ სასმელი წყალი სრულებით არ მოიპოვება. ვაი იმ ავადმყოფის ბრალი, ვისაც „კუჭის წყალი" (იგივე საბანაო წყალი) არ ესაჭიროება! ის იძულებულია ან ხახა გამოიშროს წყურვილისაგან, ან კიდევ „ბორჯომს", ან ადგილობრივ უხეირო გაზიან წყალს დაეტანოს.

წყალტუბო, მართალია, ძველთაგანვე იყო ცნობილი თავისი სამკურნალო თვისებებით, მაგრამ მეცნიერულ ნიადაგზე ეს კურორტი მხოლოდ ახლა დგება. ეს ავალებს კურორტთა სამმართველოს და ადგილობრივ ადმინისტრაციას უზრუნველყონ კურორტი მაღალხარისხოვანი საექიმო ძალებით. სინამდვილეში კი ამას ვერ ვხედავთ. კურორტს **არა ჰყავს არცერთი ცნობილი სპეციალისტი**. ექიმთა კადრი თითქმის ყოველწლიურად იცვლება. ერთად ერთი ექიმია კურორტზე გ. მიქელაძე, რომელიც ათი წელიწადია აქ მუშაობს განუწყვეტლივ ზამთარ-ზაფხულ და დიდი გამოცდილებაც შეიძინა წყალტუბოს წყლების მოქმედებაზე დაკვირვებით, მაგრამ მას არ შეუქმნეს მუშაობისათვის ნორმალური პირობები და ეს სასარგებლო სპეციალისტი ახლა წყალტუბოდან წასვლას აპირებს.

ამბობენ წყალტუბოს წყალი სასარგებლოდ მოქმედობს გულით ავადმყოფებზეც. ასეთი ავადმყოფი კურორტს მრავლად ეტანება, მაგრამ აქ ისინი მოკლებულნი არიან სპეციალისტ ექიმის სისტემატიურ მეთვალყურეობას. გულის სპეციალისტი კურორტს სრულიად არ ჰყავს. ამჟამად, როდესაც ირკვევა წყალტუბოს პროფილი, ასეთი სპეციალისტის უყოლობა დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ეს, ასე ვთქვათ, მსხვილი დეფექტებია. „წვრილმანი" ნაკლი კურორტს მრავალი აქვს: დილით სანატორიუმში წყალი არ არის, რომ პირი დაიბანო; საპირფარეშოებში საშინელი ანტისანიტარიაა, ამას გარდა საპირფარეშო ისეა მოწყობილი, რომ თუ დახელოვნებული ტანმოვარჯიშე არა ხარ, იმით ვერ ისარგებლებ. სადილების ხარისხი დაბალია. ავადმყოფების კულტურული მომსახურება არ დგას საჭირო სიმაღლეზე, ის რა მომსახურებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სანატორიუმებს სამისო დარბაზიც არა აქვთ.

წყალტუბო. ახლად გადაკეთებული ცენტრალური აბანო.

აბანოების სანიტარული პერსონალი დაბალი კვალიფიკაციისაა, სუსტია დისციპლინა. ადგილი აქვს ავადმყოფებისადმი უდიერად მოპყრობას.

წყალტუბოს რეპუტაცია თვიდან თვემდე იზრდება, საკურორტო მშენებლობა კი ძალზე ნელი ტემპით ვითარდება. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების სამი წლისთავზე, — დადგენილების, რომელიც წინადადებას აძლევს ამიერ - კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ გამოიყენონ მხარის მდიდარი საკურორტო შესაძლებლობანი — აუცილებელია წყალტუბოსათვის უფრო სერიოზული ყურადღების მიქცევა.

წყალტუბო უნდა გამოვიდეს ფართოდ გაშლილ მშენებლობის გზაზე. ამისათვის საჭიროა დაისვას საკითხი საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა წყალტუბო სოჭი-მაცესტას მსგავსად გამოყოფილ იქნას ცალკე ერთეულად და ასიგნობების გადიდებით უზრუნველყოფილ იქნას მისი სასწრაფოდ გადაქცევა კეთილმოწყობილ სოციალისტურ კურორტად.

შ. რადიანი

მხატვრული ლიტერატურის გამოცემა

საქართველოს სახელგამმა სხვა დარგის წიგნებთან ერთად უნდა გამოსცეს კლასიკოსები, თანამედროვე საბჭოთა მხატვრული პროზა და პოეზია, ფოლკლორი, უცხო ენიდან თარგმნილი ლიტერატურა, საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა მხატვრული შემოქმედების დამახასიათებელი ნაწარმოებები, წიგნები, ხელოვნებაზე, თეატრზე, ლიტერატურამცოდნეობაზე და სხვ.

მარტო ეს ჩამოთვლა ლიტერატურის ობიექტებისა, რომლებიც უნდა გამოსცეს სახელგამმა, ნათელყოფს იმას, რომ ეს გამომცემლობა ნამდვილად წარმოადგენს თავისი მოქმედების მასშტაბით და საზოგადოებრივ პოლიტიკური მნიშვნელობით მეტად რთულ საწარმოო ერთეულს, სერიოზულ ძალას კულტურული რევოლუციის საქმეში.

ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანათა შეგნებისა და მის რეალიზაციის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს 1934 წელში სახელგამის მუშაობა მხატვრული ლიტერატურის დარგში.

მიმდინარე წელს სახელგამმა მხატვრული ლიტერატურის სერიიდან გამოსცა **მიხ. ჯავახიშვილის** თხზულებათა მე-2 ტომი, **ლ. ქიაჩელის** „ნოველები", **შ. დადიანის** „პიესები" (მეორე ტომი), **ან. ერისთავ-ხოშტარიას** „მოთხრობები", **კ. გამსახურდიას** გოეთეს ცხოვრების რომანი", **პ. ჩხიკვაძის** „მოთხრობები", **ე. პოლუმორდვინოვის** „იღვიძებენ მთები" (რომანი), **ტ. ტაბიძის** „რჩეული ლექსები", **ს. ჩიქოვანის** „ლექსები", **გ. ქუჩიშვილის** „ლექსები", **გ. ჩხეიძის** „მოთხრობები", **ჯეკ ლონდონის** „მარტინ იდენ", **ვ. კოტეტიშვილის** „ხალხური პოეზია", **ი ეკალაძის** „რჩეული მოთხრობები", წიგნი ტრისტანისა და იზოლდას შესახებ" და სხვ.

ახლო ხანში გამოვა: **ფეშანგი** „შაჰნავაზიანი", **გ. წერეთელი** „გულქან" და „პირველი ნაბიჯი", **ლ. არდაზიანის** „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", **დ. ჭონქაძის** „სურამის ციხე", **რ. ერისთავის** „ლექსები", **მიხ. ჯავახიშვილის** თხზულებათა მე-3 ტომი. **ჩარლზ დიკენსის** „დავით კოპერფილდი", **ბოკაჩიოს** „დეკამერონი", **სტენდალის** „წითელი და შავი", **ა. პუშკინის** „ევგენი ონეგინი", წიგნი „ნიბელუნგებზე", **ვაჟა-ფშაველას** პროზის ორი ტომი, **გრ. ორბელიანის** „წერილები" (ტ. 1-ლი), „კალმასობა", **ა. ტოლსტოის** „პეტრე პირველი", **შოლოხოვის** „გატეხილი ყამირი", **საბა-სულხან ორბელიანის** „სიბრძნე სიცრუისა", **სალტიკოვ-შჩედრინის** „პომპადურები", **ა. პუშკინის** „კაპიტანის ქალიშვილი" და სხვ.

ყურადღება ექცევა წიგნების მხატვრულ გაფორმებას, მაგრამ მიღწევები ამ დარგში არ არის საკმარისი. მთავარი სამუშაო წინ გვიდგას.

სახელგამი 1935 წლისათვის საგრძნობლად ადიდებს სამხატვრო სალიტერატურო ნაწარმოებთა გამოცემას. გეგმით გათვალისწინებულია გამოიცეს 6 მილიონ ფორმამდე, რაც ზრდას 1934 წელთან შედარებით გულისხმობს 100 პროცენტით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კლასიკური ლიტერატურის გამოცემას სახელგამის საერთო გამოცემათა რაოდენობაში მცირე ადგილი ეჭირა. 1935 წლისათვის ამ მხრივ მდგომარეობა საფუძვლიანად იცვლება. გეგმაში ერთი პირველი ადგილთაგანი დათმობილი აქვს კლასიკოსებს. იგი ნავარაუდევია 3 მილიონი ფორმის რაოდენობით, რაც გეგმის 60 პროც. შეადგენს. აქ შედის კლასიკოსების სრული აკადემიური გამოცემები, ერთტომეულები და მასიური ბიბლიოთეკა. ძველი ლიტერატურიდან გამოცემულ იქნება **„ამირან-დარეჯანიანი", „ვისრამიანი", „ქილილა და დამანა", „თეიმურაზ მეორე", „იესე ოსეს ძის თავგადასავალი", იოსებ ტფილელის — „დიდი მოურავიანი". მე-18 საუკუნის უცნობი პოეტების კრებული და დავით გურამიშვილი.**

გამოცემული იქნება სრული აკადემიური კრებული **ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას** (პირველი და მეორე ტომი), **რ. ერისთავის** (მეორე და მესამე ტომი) და **შ. ლომთათიძის** (პირველი და მეორე ტომი). გამოცემული იქნება ერთტომეულები: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ან. ფურცელაძის, ზ. ანტონოვის, ნ. ლომაურის, სოფ. მგალობლიშვილის, გრ. რჩეულიშვილის, შ. არაგვისპირელის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, მელანიას, ლალიონის, ბაჩანას, ე. გაბაშვილის და ან. ერისთავ-ხოშტარიას ნაწარმოებების მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასიურ ბიბლიოთეკის გამოცემას. გამოცემული იქნება დიდი ტირაჟებით კლასიკური მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის **შ. რუსთაველის** „ვეფხის ტყაოსანი".

უცხოელ და მეზობელ ხალხთა კლასიკოსებიდან გამოცემული იქნება **ტოლსტოის** მოთხრობები, **ტურგენევის** „მამები და შვილები", **ნეკრასოვის** ლექსები და პოემები, **ჩერნიშევსკის** „რა ვაკეთოთ", **პუშკინის** „მოგზაურობა აზრუმში", **გრიბოედოვის** „ვაი ჭკუისაგან", **გორკის** მოთხრობები, **ჩეხოვის** მოთხრობები, **ჰიუგოს** „93 წელი", **ბალზაკის** „შაგრენის ტყავი", **ფლობერის** „მადამ ბოვარი", **შარლ-დე კოსტერის** „ულენშპიგელ", კრებული ინგლისელ ლირიკოსების, **მერიმეს** მოთხრობები, **სტენდალის** „წითელი და შავი" (მეორე ტომი), **ბოკაჩიოს** „დეკამერონი" (მეორე ტომი), **შექსპირის** პიესები (ერთი ტომი), **ჰამსუნის** მოთხრობები, **ჰაინეს** ლექსები, **დანტეს** „ღვთაებრივი კომედია" (ნაწილი მეორე), **ომარ ხეიამი** პოეზია, **საადი** პოეზია, **შევჩენკოს** „კობზარი", **ო. თუმანიანის** ლექსები და პოემები, **მირზა-ფატალი ახუნდოვის** მოთხრობები და პიესები, **შირვან-ზადე** მოთხრობები და სხვ.

გეგმით გათვალისწინებულია ხალხური შემოქმედების ორი აკადემიური ტომის და აგრეთვე ანდაზების და გამოცანების კრებულების გამოცემა.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული კლასიკოსების გამოცემებში კომენტარებსა და წერილებს გამოვა აგრეთვე კრებული **მარქსი და ენგელსი** ხელოვნების შესახებ, **ლენინი** — ხელოვნებაზე და სხვა.

1935 წლის გეგმაში თანამედროვე ლიტერატურას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. გათვალისწინებულია გამოიცეს 3 მილიონი ფორმის რაოდენობა, აქედან 80 პროც. დაეთმობა ახალ ნაწარმოებებს და 20 პროც. განმეორებით გამოცემებს (მათ შორის მასიურ სერიასაც).

გათვალისწინებულია გამოიცეს თარგმანები რუს, უკრაინელ, სომეხ, ოს, აფხაზ და აგრეთვე ფრანგ, ინგლისელ და გერმანელ თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები.

პროფ. ი. აბულაძე

რუსთაველი თუ რუსთველი*)

„ვეფხის ტყაოსნის" ახალი გამოცემა იწვევს ლაპარაკს ბევრ ისეთ რამეზე, რაც უკვე დიდიხნიდან დამტკიცებულია მკვლევართა მიერ. ასეთია. მაგ.: ამ წიგნის სათაურშივე წარმოდგენილი პოეტის სახელწოდება, თუ გვარი „რუსთაველი".

ფორმა „რუსთველი" ხმარებული იყო პირველად ჩემ მიერ. პოეტის შესახებ უძველესი ცნობა დაცულია თვით „ვეფხის ტყაოსნ"-ის შესავალში. იქ შესავლის მე-7 და მე-8 ხანებში პოეტი თავის თავს რუსთველს უწოდებს. ამ შესავლის ხანების სიძველეს კი ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ უკვე კითხულობდენ მათ დროს არსებულ ხელნაწერებში ალორძინების პირველი ხანების პოეტები, როგორიცაა: ერთი „იოსებ ზილიხანიანი"-ს უცნობი მთარგმნელი, მეორეც იოსებ ზილიხანიანისავე მთარგმნელი თეიმურაზ პირველი. ორივე ეს პოეტები „იოსებ ზილიხანის ხსენებული თარგმნების მესავლებში ადასტურებენ სიტყვებს: „დავჯე რუსთველმა გავლექსე" და „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა"...

ამას გარდა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ლის „იოსებ ზილიხანიანი"-ს შესავალი პირდაპირ მოწმობს, თამარისა და დავით სოსლანის შესახებ „ვეფხის ტყაოსნ"-ის ხანები იმ ხელნაწერებში რომლებიც მას ხელთ ჰქონია, უკვე არსებობდენ. აი ზოგიერთი საყურადღებო ადგილები:

„ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნისა, [illegible] ჰმობითა".

ამ ადგილიდან აშკარად ჩანს, რომ თეიმურაზ პირველს, რომლის მოღვაწეობა მე-17-ე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, ხელთ ჰქონია ისეთი ძველი ხელნაწერი, რომლის შესავალშიაც მოთავსებული ყოფილა 599 და 2829 №№ ხელნაწერებით უარყოფილი მე-2—მე-7 ხანები, რაც თავისი მხრით ამტკიცებს, რომ ეს ხანები პოეტის შესახებ უძველესი ცნობის შემცველია... ამნაირად „ვეფხის ტყაოსნ"-ის შესავალი და ალორძინების პირველი ხანის პოეტები თეიმურაზ პირველი და სხვები და მათი მომდევნო, როგორიც არიან არჩილი და დავით გურამიშვილი ერთხმად ხმარობენ ფორმებს: „რუსთველი", რუსთველი- „რუსთველის ნათქვამში (არჩილი), „რუსთველისებრ" (დავით გურამიშვილი), აგრეთვე ძეგლებიც. მაღვთაების გუჯარში 1722 წლისა (აქვე გვ. 12) პირდაპირ ნათქვამია: რომ „რუსთველად ამის მიზეზისათვის უწოდებიათ რუსთველისათვის რომე რუსთავს ამა ქალაქს უხმობენ"-ო.

ამნაირად ყველა ჩვენამდი მოღწეული ლიტერატურული ძეგლები ცნობენ მხოლოდ ფორმას „რუსთველი" და მისგან გენეტივს „რუსთველის" და არას ერთს მათში არ ვხვდებით ფორმას „რუსთაველი". აგრეთვე ყველგან ამ მათ მიერ მიღებული ფორმიდან „რუსთველი" ისინი აწარმოებენ გენეტივს ფორმით „რუსთველი" და არა „რუსთველის".

---

*) აზრთა გაცვლა-გამოცვლის წესით. რედ.

ბრძოლა შეანელეს შედეგიც ცუდია

პირველ და მეორე კვარტალში აბაშის რაიკოოპკავშირი (თავმჯდომარე შ. ხვადაგიანი) სავაჭრო - საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა, მაგრამ აღებული ტემპები მან მესამე კვარტალში ვერ შეინარჩუნა გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის შენელების გამო.

მესამე კვარტალში რაიკოოპკავშირის მთელ სისტემაში გასაღებული უნდა ყოფილიყო 1 მილიონი მანეთის საქონელი, ფაქტიურად გასაღებულია 784.560 მანეთის საქონელი. (გეგმის 78,4 პროც.).

სამარცხვინოდ ჩამორჩა სუჯუნის სოფ. კოოპერატივი (გამგეობის თავმჯდომარე დ. კორძაძია), რომელმაც მესამე კვარტალის გეგმა შეასრულა მხოლოდ 46,9 პრ., ასევე ჩამორჩება გეზათის (გეგმა შესრულდა 54,4 პროც.), ონტოფოს (60,7 პროც.), სამიქაოს (65 პროც.), ძველი აბაშის (66,5 პროც.), გულეიკარის (72,6 პროც.) და ნაესაკოვოს (83,2 პროც.), სოფ. კოოპერატივები.

ვერც რაიკულტმაღაზიამ მოახდინა გარდატეხა თავის მუშაობაში. მან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.000 მანეთის საქონლისა, მხოლოდ 9.219 მანეთის საქონელი გაასაღა (გეგმის 76,8 პროც.).

სოფ. სუჯუნაში მესამე კვარტალის დასაწყისშივე უნდა გახსნილიყო. უნივერსალური მაღაზია, და უნდა გასაღებია 1000 ათასი მანეთის საქონელი, მაგრამ რაიკოოპკავშირმა ვერ უზრუნველყო ამ მაღაზიის დროულად გახსნა. გაიხსნა მხოლოდ 8 სექტემბერს და 22 დღის განმავლობაში შესძლო 5980 მანეთის საქონლის გასაღება.

რაიკოოპკავშირის ინსტრუქტორებიც მეტად უხეიროდ მუშაობენ, არ უწევენ ოპერატიულ და კონკრეტულ ხელმძღვანელობას სოფლის კოოპერატივებს, მათ ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საქონლის ასორტიმენტების შერჩევას და მომხმარებელთა უკეთ მომსახურებაზე ნაკლებად ზრუნავენ (წყემი, ონტოფო, სეფიეთი და ნაესაკოვო). პირველი მოთხოვნილების საქონლის (მარილი, ნავთი, საპონი) გეგმიანი მომარაგება მოუგვარებელია და მოსახლეობა ამ საგნების ნაკლებობას განიცდის.

ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენას ისიც ემატება, რომ მთელ რიგ სოფ. კოოპერატივებში და სავაჭრო მაღაზიებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს შეუმოწმებელი და უვარგისი საწონ-საზომების ხმარებას, არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს ატყუებენ წონა-ზომაში. მაგალითად, სეფიეთის კოოპ. გამგეობის თავმჯდომარე სამსონ ბალათურია, გამყიდველები ვალერიანე გაგუა და ბეჭიკო ლაბარტყავა, უვარგის სასწორებს ხმარობდენ და თვითნებურად ადიდებდენ ფასებს საქონელზე. უვარგის სასწორს იყენებდა აგრეთვე სოფ. ზანათის სავაჭრო წერტის ნოქარი მ. ქობალავა, ძველი-აბაშის ცენტრალური მაღაზიის ნოქარი შალამბერია, სოფ. ცილორის სავაჭრო წერტის ნოქარი ლაფარეიშვილი, წყემის სოფ. კოოპ. ნოქარი პარმენ ქადარია.

მესამე კვარტალის შედეგები ადასტურებენ რაიკოოპერაციის ცუდ მუშაობას. საჭიროა აბაშის რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობამ მუშაობა ახლებურად გარდაქმნას და უზრუნველყოს ნაკლოვანებების სასწრაფოდ აღმოფხვრა.

პრ. გვაზავა.

უმაღლესი სასწავლებლების მსმენელები ემზადებიან ოქტომბრის ზეიმისათვის.

სურათზე: წინასწარი რეპეტიცია პარადისათვის ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე ტფილისში 18 ოქტომბერს.

პროფ. ს. ჩოლოყაშვილი

დიდი საბრძოლო ამოცანა მევენახეობაში

როდესაც წარსული დროის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ვაჯამებთ, მომავალი მუშაობისათვის ალღოს ასაღებათ, გვაგონდება ის პირობები, რომელშიაც ჩვენი ქვეყნის მევენახეობა იმყოფებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის. ჩვენ ხელთ მრავალი მასალებია, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგთა შორის თითქმის არც ერთი დარგი ისე სასტიკად არ დაზარალებულა, როგორც 1914—1921 წლებში მევენახეობა დაზარალდა.

ომის წინა წლებში საქართველოს ვენახების ფართობი უდრიდა 49.000 ჰექტარს, 1921 წელს კი ეს ციფრი დავიდა 37.000 ჰექტარამდე. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გადარჩენილ ფართობის საგრძნობი რაოდენობაც უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყოველივე ეს გამოიწვია მოხსენებულ პერიოდში პურის სიმცირემ, ამის შედეგად ზოგიერთ ალაგებში ვენახების საყანეებად გამოყენებამ, მუშა-ხელის ნაკლებობამ, შაბიამან-გოგირდის ხშირმა უქონლობამ, ფილოქსერის ფართოდ გავრცელებამ კახეთში (ომის წინა წლებში იყო აღმოჩენილი) მინშევიკური ერობების უსუსურობამ, უინიციატივობამ და სხვა იმდროინდელმა პირობებმა...

დასავიწყარი არ არის, რომ საიმდროვოდ ფილოქსერა თითქმის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე იყო მოდებული, სამზადისი კი ამ სენთან საბრძოლველად სრულიად არ მიმდინარეობდა.



დამახასიათებელია მენშევიკების ბატონობის დროს ერთი ასეთი ფაქტი: კახეთის მევენახეთა ერთ-ერთმა კოოპერატიულმა ამხანაგობამ „კავშირთა კავშირმა" გადასწყვიტა თავისი ინიციატივით და ხარჯით ამერიკული ვაზის სადედეს მოწყობა. რადგან ხედავდა კარზე მომდგარ კრიზისს; მიწათმოქმედების სამინისტრომ ნაცვლად ყოველმხრივი დახმარებისა, ორი წლის განმავლობაში გაჭიანურებულ დავიდარაბის და ვაივაგლახის შემდეგ 1920 წელს გამოუყო დასახელებულ საზოგადოებას სადედეს გასაშენებლად ს. მუკუზანში მთლიანად ჯაგნარიანი ნაკვეთი, ყოფილ საუფლისწულო მამულის ფართობიდან, ზომით უახლოვებით 8 ჰექტარი. ამ ნაკვეთზე „კავშირთ-კავშირმა" 1921 წ. გააშენა სადედე. ეს იყო 1914 წლის შემდეგ პირველი ამერიკული ვაზის სადედე. და ეს მაშინ, როდესაც ფილოქსერა როგორც აღვნიშნეთ, მასიურად იყო მოდებული. მენშევიკების დროს მთელ კახეთში თორმეტიოდე ჰექტარი ამერიკული ვაზის სადედე მოიპოვებოდა, აქედან რიგიან სადედეთა ფართობი შვიდ ჰექტარს არ აღემატებოდა. ([illegible]); მთელ საქართველოს ტერიტორიაზე კი გამოსადეგ და უამუშავებელ სადედების ფართობი მხოლოდ ოცამდე ჰექტარს აღწევდა.

ასეთი იყო „სამზადისი" ვენახის საშინელ სენ ფილოქსერასთან ბრძოლისთვის, მევენახეობაში ასეთი უნუგეშო მემკვიდრეობა მიიღო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ.

აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ არამცთუ დიდი და ძვირფასი ვენახების ფართობი იყო დაღუპული და აღდგენას მოითხოვდა, არამედ არსებული ფართობებიც დაწვრილდენ; თანახმად ექსპერტიზისა მოსალოდნელი იყო ფილოქსერისაგან უახლოვეს ხანში ყოველწლიურად 1.200 ჰექტარ ვენახების დაღუპვა, შემდეგში კი ამ ციფრს ზრდა მოელოდა (ცნობილია, რომ ისეთ ბუნებრივ პირობებში როგორიც კახეთის მეტი ნაწილია, საბოლოოდ ვაზი ფილოქსერით იღუპება მე-7—10 წელს).

1922 წელს გურჯაანში მოწვეულ იყო ფართო თათბირი მევენახეობის და მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ, ამხ. ფილიპე მახარაძის თანადასწრებით.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა მევენახეობა დაღუპვას გადაარჩინა. დიდი საგრძნობი წარმატებანიც გვაქვს სადღეისოთ, მაგრამ ვინაიდან მდგომარეობა მეტად გართულებული და უნუგეშო იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას აქეთ დიდი თანხები და შრომა დაიხარჯა, მევენახეობა მაინც სადღეისოთაც ვერ არის წელში გაშლილი!... ასეთი შედეგები მოსდევს ხოლმე ყოველთვის იმ საქმიანობას, რომელსაც დროზე არ აელება ალღო, ასეთი კი იყო საკმაოდ ხანგრძლივი ხანა (1914—1921 წლებში).

მევენახეობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მომაგრებული. ფილოქსერის მიერ გამოწვეული კრიზისის ლიკვიდაცია ორიოდე წელში, იმაც მაშინ როდესაც წინასწარი მომზადება თავის დროზე არ იყო ჩატარებული—შეუძლებელია. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მევენახეობის აღსადგენად უკვე მიღებულია ეფექტიური ზომები. ამ საქმეში მრავალი ენერგია და სერიოზული თანხებია დაბანდებული. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე გაშენებულია მრავალი ვაზის სანერგე, რომელნიც ყოველწლიურად იძლევიან მილიონობით დამყნილ ვაზს; მოწყობილია მრავალი ათეული სათბური ნამყენის გამოსაყვანად: ამერიკული ვაზის სადედეები ფართობი ნაცვლად ათეული ჰექტარისა, ამჟამად მრავალი ასეულ ჰექტარებით არსებობს. დაარსებულია მევენახეობის მეცნიერულ კვლევითი ინსტიტუტი, უმაღლესი სას. სამ. სასწავლებლები და მევენახეობის ტექნიკუმები, რომლებიც ყოველწლიურად ასეულ მევენახე-აგრონომებს მატებენ მევენახეობის დარგს. სულ ახალ ფართობებზე ასეული ჰექტარობით გადაჭიმულია მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დარგს. სულ ახალ ფართობებნარი, გეურარხი, სამამიასერი, არგვეთი, სალხინო და სხვ.), აგროტექნიკამ ფართოდ შეიჭრა მშრომელ მევენახეთა მასებში. ხელისუფლება მზრუნველობას არ აკლებს მევენახეობის გაფართოვება - გაუმჯობესებას; სხვადასხვა დროს მიღებული იყო დადგენილებები, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დირექტიულ ორგანოების მიერ მევენახეობის სტიმულირების შესახებ და სხვ.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მაინც სადღეისოდაც ვენახების ფართობი საქართველოში — 39.000 ჰექტარს არ აღემატება, დიდძალი ვენახების ფილოქსერისაგან დაღუპვის გამო.

ამ წერილში ჩვენ განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ საკავშირო სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 2 ივლისის დადგენილებაზე, მებაღეობის და მევენახეობის განვითარების შესახებ ჩვენში. სახეში გვაქვს ამ დადგენილების ის პუნქტი, რომელიც მევენახეობის დარაიონებას შეეხება ამ დადგენილებაში ნათქვამია:

„აღნიშნონ რაიონები და მიკრორაიონები, რომლებშიაც მებაღეობა და მევენახეობა უნდა იყოს აღიარებული მთავარ (წამყვან) კულტურებათ. იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები ასეთ რაიონებში არ იყვნენ ხელშემშლელი მებაღეობის და მევენახეობის განვითარებისათვის".

ამ პუნქტის განსაკუთრებული მნიშვნელობა მევენახეობის სტიმულირებისათვის ყველასათვის ცხადია. ჩვენ თუ აქ შევჩერდით მასზე ეს იმიტომ, რომ ამ მუხლის რეალიზაციას დაუკავშიროთ ის საქმიანობა, რომელიც დარაიონებასთან მეტად მჭიდროდ ხდგას და თანამედროვე მევენახეობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ჩვენ ვგულისხმობთ **მევენახეობის დარაიონებას სამეურნეო მიმართულებასთან დაკავშირებით**, რათა წარმატებით იყოს გამოყენებული არსებული ბუნებრივი ძალთა ფაქტორები.

ამჟამად ცნობილია მევენახეობის მრავალმხრივი სამეურნეო მიმართულება, რომელიც გამოწვეულია ვაზის პროდუქტის მრავალფეროვანებით. თითოეული ამ მიმართულების წარმოება მოითხოვს გარკვეულ ბუნებრივ პირობებს და იმას, რომ სხვადასხვა მევენახეობის მიმართულება მჭიდროდ დაკავშირებული იყოს ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მევენახეობის წარმოება შემდეგი მიმართულებით არის ჩამოყალიბებული: **სუფრის ყურძნის მიღების თვალსაზრისით; უალკოჰოლო ყურძნის წვენის დასამზადებელი, კონცენტრატების დასამზადებლად; ქიშმიშის დასამზადებლად, მიტე მასიური სახმარებელი იაფფასიანი ღვინოების მისაღებად; მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოების დასაყენებლად; მაგარ და ლიქიორის ღვინოების დასამზადებლად, საკონიაკე მასალის დასამზადებლად, შამპანიური ტიპის ღვინის დასამზადებლად და სხვ.**

მევენახეობის ყველა ამ მიმართულების წარმოებისთვის საჭიროა გარდა თანამედროვე აგროტექნიკის მიზანშეწონილად გამოყენებისა, სათანადო **ჯიშების შერჩევაც ბუნებრივ პირობებთან შეფარდებით. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ ბუნებრივ ფაქტორების გამომჟღავნება**, ვინაიდან მხოლოთ სათანადო სპეციფიურ კლიმატიურ და ნიადაგის პირობებში იქნება შესაძლებელი მევენახეობის თითოეულმა მიმართულებამ სათანადო ღირსების და რაოდენობის პროდუქტი მოგვცეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მეტად მრავალფეროვანი ბუნებით ხასიათდება, რაც საშუალებას იძლევა თითქმის ყოველგვარ მევენახეობის მიმართულებათა განვითარებისათვის (ცალკე მიკრორაიონების მიხედვით), მაშინ ცხადია ამ საქმიანობას მხარი არამცთუ და არამც არ უნდა აუქციოთ. **რამდენადაც ზუსტად და მიზანშეწონილათ ჩატარდება მევენახეობის დარაიონება, იმდენად მევენახეობა მეტი ეფექტიანი იქნება.**

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვენახი შენდება იმ ანგარიშით, რომ 40—50 წლის განმავლობაში იმსახუროს; ერთხელ გაშენებული ვენახის შემდეგ გადასხვაფერება მეტად რთულია, ხშირად ეს სათანადო ეფექტს არ იძლევა. სწორეთ ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რათა ეხლავე, ვენახების ახალი მასივების გაშენებამდე სათანადოთ იყოს გათვალისწინებული დარაიონებასთან დაკავშირებული საკითხები ალღო ეხლავე უნდა აელოს ამ პასუხისმგებელი საქმიანობას თუ გვინდა, რომ თითოეულ ჰექტარ გაშენებულმა ვენახმა მაქსიმალური სამეურნეო ეფექტი მოგვცეს.

არსებული დარაიონების სქემები გაბნეულია სხვადასხვა დაწესებულებებში. საჭიროა მათი **შეგროვება შესწავლა, შევსება, გადაბალისება და ცხოვრებაში გატარება.** მართალია, ერთსა და ორ თვეში ამ საქმის ამოწურვა შეუძლებელია, მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარად იგი დაჩქარებით უნდა გაკეთდეს, რადგან ასეთი დარაიონება ის ღერძია, რომელზედაც არის დამოკიდებული ვენახის კულტურის ინტენსიური განვითარება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

◆

გუშინ დაამთავრა მუშაობა საკავშირო ცაკთან არსებულმა კომუნალური მეურნეობის საკავშირო საბჭოს საექსპერტო კომისიამ, რომელიც გამოგზავნილი იყო ტფილისში, ტფილ. რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის ერთ ერთი ვარიანტის შესარჩევად და რეკონსტრუქციის პროექტების განსახილველად.

სურათზე — საექსპერტო კომისიის წევრთა ერთი ჯგუფი—აკად. ფ. პოპოვი, პროფ. გინსბურგი, პროფ. მორჩეევი, პროფ. ნ. სფაელო და პროფ რისი.

როგორ უნდა დაასახლონ 725.000 მცხოვრები

ტფილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შემსწავლელ საექსპერტო კომისიის მესამე და მეოთხე სხდომებზე გრძელდებოდა კამათი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იქნეს ქალაქის კონფიგურაცია 25 წლის შემდეგ, სად და რომელ რაიონში რამდენი მცხოვრები უნდა იქნეს, სად უკეთესი იქნება სამრეწველო უბნების გაშენება, როგორ უნდა მოეწყოს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ქსელი, შინასაქალაქო ტრანსპორტი და სხვ.

კამათის ცენტრში მოქცეული იყო შემდეგი საკითხი: საჭირო იქნება თუ არა უახლოესი 25—30 წლის განმავლობაში ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება დიღომის ველზე. კამათში გამოსულმა ზოგიერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ დიღომის ველი დატოვებული უნდა იქნეს რეზერვად სამრეწველო მშენებლობისათვის, რადგან ლითონის ცენტრალური ჩამომსხმელი ქარხნისა და მთელი რიგი ახვა, უკვე დაწყებული ქარხნების აგების შემდეგ ავჭალის მიმართულებით აღარ დარჩება თავისუფალი ფართობი ახალი დიდი სამრეწველო გიგანტების ასაგებად. ამავე დროს, მოსალოდნელია ახალი გიგანტების აგების საჭიროება დაიბადოს 25 წელზე უფრო ადრეც.

გარდა ამისა, მოკამათეთა ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ აუცილებელი არ არის მომავალ ტფილისში მწვანე ნარგავებს დაეუთმოთ ქალაქის ტერიტორიის ორი მესამედი. სამხრეთის კლიმატიური პირობები საშუალებას გვაძლევს მწვანე ნარგავები ნაკლებ ფართობზე გავაშენოთ და ეს არ იქონიებს ცუდ გავლენას ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენურ კეთილდღეობაზე.

კამათში აღნიშნული იყო აგრეთვე, თუ რა ზოგადი ხასიათის პრინციპები უნდა იქნეს დასახული ახალი ტფილისის არქიტექტურული გაფორმების დროს.

საექსპერტო კომისიის წევრებმა—პროფ. გინზბურგმა, პროფ. სფაელომ, პროფ. დობროხოტოვმა, პროფ. მარზეევმა და სხვ. აღნიშნეს, რომ კამათში გამოსული ის ორატორები, რომლებმაც მოითხოვეს დიღომის ველის სამრეწველო მშენებლობისათვის რეზერვში დატოვება და მწვანე ნარგავებისათვის ფართობის შემცირება—სცდებიან. საბჭოთა ქალაქები წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდებიან და ვითარდებიან. უახლოესი 10—15 წლის შემდეგ ჩვენში უკვე გათანაბრებული იქნება გონებრივი და ფიზიკური შრომა. ამიტომ საჭირო იქნება ჩვენს ქალაქებში შევქმნათ ცხოვრების საუკეთესო პირობები: უნდა გვქონდეს სანიმუშოდ კეთილმოწყობილი, ლამაზი ქუჩები, ლამაზი სახლები, უნდა შევქმნათ პირობები ქალაქის კლიმატიური პირობების გასაჯანსაღებლად.

საბოლოოდ, საექსპერტო კომისიის წევრებმა უპირატესობა მისცეს გენერალური გეგმის პირველ ვარიანტს, რომელიც გულისხმობს დიღომის ველის საცხოვრებელ რაიონად გადაქცევას.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

იმ სხვადასხვა სახის ქონების ნუსხის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ, რომელზედაც გადასახადის და არა საგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება

ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ვადაზე ჩაუბარებელ სავალდებულო ნატურალურ გადასახადთა და ფულად გადასახდელთა გადახდევინებისა და სასამართლოს წესით ქონების კონფისკაციის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 31-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ 48 №-ი, მუხ 370) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნუსხაში სხვადასხვა სახის ქონებისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ 1933 წ 23 №-ი მუხ 292), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლიდან ამოშლილ იქნეს „ა", „ბ", „დ" და „ვ" პუნქტები.
2. მე-2 მუხლის „ბ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „ბ) საცხოვრებელი სახლი".
3. დაემატოს მე-2 მუხლს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა: ამა მუხლის „ლ" და „მ" პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება იმ ერთპიროვნულ მეურნეობებზე, რომელთაც არ შეასრულეს ვადაზე ვალდებულებანი სახელმწიფოსადმი ნატურალურ ჩაბარებათა სფეროში და არ გადაიხადეს ფულადი გადასახდელი".

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე —
გ. მგალობლიშვილი
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი —
ა. ქავთარაძე
1934 წ ოქტომბრის 11
ტფილისი

საკონსერვო პროდუქციის გაიაფება

მშრომელთა ფართო მასების მომარაგების გაუმჯობესებისა და საკვებ პროდუქტების გაიაფების მიზნით, საქართველოს საკონსერვო მრეწველობის ტრესტმა დაადგინა შეამციროს საკონვენციო ფასები.

23 ოქტომბრიდან საკონსერვო მრეწველობის პროდუქციაზე ფასები დაკლებულია საშუალოდ 52,9 პროცენტით.

ცალკე ასორტიმენტის მიხედვით ფასები დაკლებულია. ბოსტნეულის კონსერვებზე —52 პროცენტით, ხილეულისაზე — 20 პროცენტით და ხორცეულ - თევზეულის კონსერვებზე. — 2,5 პროცენტით

სავაჭრო ორგანიზაციებს დაეგზავნათ მითითება, რომ აღნიშნულ დღიდან მოახდინონ საკონსერვო პროდუქტების გადაფასება და მათი დაკლებით რეალიზაცია

მზადდება რუსული პოეზიის კრებული ქართულად

ჟურ. „მნათობის" რედაქციამ იკისრა გამოსცეს რუსული პოეზიის ახალი კრებული ქართულ ენაზე. ამ კრებულში შევლენ თითქმის ყველა ცნობილი რუსი საბჭოთა პოეტები.

კრებული გამოვა ამხ. გ. ყურულაშვილის საერთო რედაქციით და ამხ. ს. ჩიქოვანის და ტ. ტაბიძის რედაქტორობით. კრებულის თარგმანებზე სამუშაოდ მოწვეული არიან გამოჩენილი პოეტები და მთარგმნელები. 25 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ჟურ. „მნათობის" რედაქციაში აღნიშნული კრებულის გამოცემის საკითხზე მოწვეულია სპეციალური თათბირი. გამოცემა ნავარაუდევია 1935 წ. იანვრისათვის.

ნახ. მხატვ. დ. ქუთათელაძის.



პერევისი (ჭიათურა) ქარხანასთან მიეწოდება საჰაერო გზით

ხელოვნება

კრავჩენკოს გრავიურების გამოფენა ტფილისში

საქართველოს მხატვართა კავშირის გალერეიაში გაიხსნა გამოჩენილ მხატვარ-გრაფიკოსის ალექ. კრავჩენკოს ნაწარმოებთა [illegible]



ა. [illegible]—გუშის მტვირთავ ქალთა მუშაობა რევოლუციამდე.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კრავჩენკო იყო ერთი იმ მხატვართაგანი, რომელმაც რევოლუცია მიიღო. მან გაიარა დიდი შემოქმედებითი გზა. დღეს იგი ნაყოფიერად მუშაობს საბჭოთა თემატიკაზე.

მხატვარი კრავჩენკო თავისი ხაზების ხელოვნებით, ცნობილია არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. მისი ხეზე ამოკვეთილი გრავიურები წარდგენილი იყო სან-ფრანცისკოს, პარიზის, ვარშავის და სხვა გამოფენებზე. კრავჩენკომ მთელ რიგ გრავიურებში ასახა ნიუ-იორკი, რომელთაგან ზოგიერთი წარმოდგენილია ტფილისის გამოფენაზეც. აქ არის ხეზე ამოჭრილი გრავიურის 84 ორგინალი. საბჭოთა თემატიკის გარდა, ტფილისის გამოფენაზე ჩვენ ვხედავთ მთელ რიგ საინტერესო ციკლებს, როგორიც არის: სტეფან ცვაიგი, ანატოლი ფრანს და სხვა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები მოწმობენ, რომ ისინი ეკუთვნის საკუთარი სტილის მქონე, ნიჭიერ და დახელოვნებულ გრავიორს, რომელიც ხეზე ვიჩვენებს მეტად რთულ დეტალებსაც კი. („დნეპროსტროი". „ნიუ-იორკის ბირჟა", ორიგინალურია გრავიურა „სტრადივარიუსი თავის სახელოსნოში"). ბაირონი კრავჩენკომ გვიჩვენა ანფასში — ბაირონის დამახასიათებელ პესიმისტურ შტრიხებში. ცვაიგის ციკლიდან საინტერესო „ამოკის" ილუსტრაციები.

შავ ფონზე იგრძნობა უდიდესი მწუხარება გრავიურაში „ლენინის კუბო კრემლის სასახლეში". დიდი ოსტატობითაა შესრულებული აგრეთვე „ჩადრის დაწვა აღმოსავლეთში".

კრავჩენკოს მიერ გაფორმებულია პუშკინის და გოგოლის ნაწარმოებები (ტიპების და გმირების ჩვენება), ილუსტრირებულია ა. მ. გორკის „იტალიური ზღაპრები". ი შოლოხოვის რომანი „წყნარი დონი".

ფერადი გრავიურებიდან საინტერესოა „ლენინის მავზოლეი" და ნიუ-იორკის



ა. კრავჩენკო—„დნეპროსტროი"

„ცათამბჯენი". ფერების მიზანშეწონილად გამოყენება, მათი შეხამება შინაარსთან.—აი რა ახასიათებს ფერად ექსპონატებს.

გამოფენა გაგრძელდება ნოემბრის ბოლომდე.

ვ. ჯავახიშვილი.

△ △ △ △ △

გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო თეატრში

„ვაიჭკუისაგან"-ის ავტორის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი დაკავშირებულია ქალ. ტფილისთან. მან აქ დააგროვა დიდძალი შთაბეჭდილებები თავისი უკვდავი კომედიის დასაწერად. ამიტომაც სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით რუსულ სახელმწიფო თეატრს მიენიჭა ა. ს. გრიბოედოვის სახელი.

უდიდესი კლასიკური კომედიის შემქმნელის სახელწოდების მინიჭება ბევრ რამეს ავალებს აღნიშნულ თეატრს, ხოლო პირველ რიგში კი ავალებს მაყურებლისათვის დრამატიული ნაწარმოებების საუკეთესო სახეების სანიმუშოდ გადაცემას. თეატრი ერთ-ერთ ამოცანად ისახავს ზედმიწევნით მოამზადოს და მისცეს მაყურებელს მაღალი თეატრალური ოსტატობით შესრულებული დადგმა „ვაიჭკუისაგან" თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ამ პიესის დადგმას შეუდგეს ტფილისში ახლახან აღმოჩენილ ტექსტის მიხედვით, ისე რომ მომავალი წლის სეზონის გახსნა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული კომედიით.

გრიბოედოვის მემკვიდრეობაზე მუშაობას ხელს უწყობს ტფილისში გრიბოედოვის სახელობის მუზეუმის არსებობაც, საც თავმოყრილია ბევრი მასალა პოეტის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ. თეატრს განზრახული აქვს არა მარტო გამოიყენოს ეს მასალა, არამედ დაეხმაროს მუზეუმს, რომ ამ უკანასკნელმა გააფართოვოს თავისი სამუზეუმო ფონდი და გააძლიეროს მუშაობა მის განკარგულებაში არსებული მასალების შესასწავლად.

დღეს გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრი ხსნის სეზონს შილლერის **„ფიესკოს შეთქმულებით"** პიესას დგამს მთავარი რეჟისორი **ა. დ რიდალო**, მხატვრული გაფორმება **გ. ივანოვის**, მუსიკალური მომსახურეობა **დ. ნ. შვედოვის.**

მეორე პრემიერად გავა ვ. კირშონის კომედია **„უცნაური შენადნობი"**, **მ. ხ. ლიაშენკოს** დადგმით, **რობერგის** მხატვრული და **შვედოვის** მუსიკალური გაფორმებით. რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე **„ბელომორსტროი"**, **„ფიგაროს ქორწინება"** და ერთერთი ქართული პიესა.

მსახიობთა კადრი შევსებულია ახალი კვალიფიციური ძალებით. მოწვეული არიან მსახიობები **ო. ლ. კუტირევი, ლდინსკაია, მარტენი, შელეხოვი, არდაროვი, პორინი, დონეცკი, კონსტანტინოვი, სევეროვი და ტომსკი.**

იანვრიდან თეატრი თავის მუშაობას გადაიტანს ახალ შენობაში, რომლის აგება უკვე დასასრულს უახლოვდება.

რუსული თეატრის ხელმძღვანელი შახ-აზიზოვი.

მარგო თომაძე

ისინი მოდიან

თქვენ ალბად გინახავთ ქუთაისის ტყემლის ყვავილებში, როცა იქ გაზაფხული ვაჟკაცდება და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ფერხთქვეშ გაწოლილი სავარდო და სამაისო ქალაქი შემკრთალი ბავშვის გულივით თრთის. რა ჯადოსნურად მშვენიერია მაშინ იგი, მკერდმოქარგული, ნარი და ქექლუცი, გულზე რომ თავისი „ტორიული" ბულვარი დაუბნევია.

შორიდან მზის სიმთლეზე თვალს მოჭრით თოვლით შებურვილი აჭარა-ახალციხის მთების სისპეტაკე. გაყვებით გზას და ნელის ნაბიჯით მივალთ ბაგრატის ნანგრევებთან საიაძის [illegible] გადმოსცქერის მოფუსფუსე ქალაქს. იგი თავს ამწვანებულ სუროებით იფარავს და სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, რომ ძველი მეგობრები შემოეცალნენ. ახლა მასთან „ყორანი თუ მიფრინდება და დაიჩხავლებს საზარელი ხმით" დინჯად გადმოსცქერის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები არტახებში მომწყვდეულ რიონს, თავი რომ მწვანე ყვავილის ქედში გაურგავს და გულ მოსული მიისწრაფის საღორიის ველზე.

საბრალო რიონი. იყო დრო როცა იგი ველურ ტახივით დორბლმორეული მიერეკებოდა შავიზღვისაკენ ხიდებს, სახლებს, აკვნიან ბავშვებს, ყველაფერს, რაც კი წინ დაუხვდებოდა. რიონს ებრძოდნენ, მაგრამ რას დააკლებდნენ მღელვარე თაზისს ბერძენთა ნავები, ქართველი მეფე [illegible] და ფეოდალები. პოეტები კი მას აქებდნენ ვაჟკაცობისათვის. ამ ფაფარაყრილ მდინარეს გვერდს უმშვენებდა მეხოტბე პოეტების მთელი პლეადა.

მაგრამ დასრულდა რიონის „დიქტატურა" და ახლა ბეტონის კაზმალზე მკერდშენგრეული და დამარცხებული, აქამდე მის მიერ საცინლად აგდებულ, თავის უმცროს ძმას—ყვირილას თხოვს ძმობას. ახალგაზრდა პოეტი კი მას ესაუბრება ჩვენი საუკუნის ენაზე, გულთბილად დასცინის მის წარსულ დიდებას.

ბატონო რიონ! დასრულდა შენი
ჭიბეებიდან ველური რბევა.
შენ ტურბინებში ტყვეობა გშვენის
და ელექტრონის წიგნი და ენა.

ლენინის თაობას დღეს გულს უხარებს:—
„ელნაკვეთებში გათეთრებული შლეგი
რიონის მღვრიე ტალღები" და მდინარის
გარდიგარდმო გაწოლილი რიონჰესი, თითო ამოძახილზე ათეულ ათას ცხენის ძალას რომ ისვრის ხახადაფჩენილი პირიდან.

ძველ რიონის თავ[illegible] [illegible] ნაზხრაურიში [illegible] ახლა, როცა უყურებთ დახავსებულ შენობებს, განაპირა უბნებში ვიწრო ქუჩებს და კენტად დარჩენილ ჩოხოსნებს, უნებურად გაგონდებათ ესკიზი დიდი პუშკინის ერთერთ ნაწარმოებიდან „Все прошло"- სურათზე ცივად რომ გამოჰყურება მოგონებებით და სინანულით სახედღარული მოხუცი ქალი—ოდესღაც ქარაფშუტა ლამაზისეული, ბალებისა და სალონების დედოფალი, საბოლოოდ მხოლოდ ძველი მოდის სამოვარი და ბებერი ძაღლი რომ შერჩა.

მოკვდა ქუთათური ჭმიერი ბოჰემაც: რი და უსაქმო ხეტიალი, სახელგანთქმული სადღეგრძელოები, ჩხუბი, გახურებული და მშიერ.. აზნაურების კბილების წმენდა ბატიფრთით, ბაღის კიდეზე, აყალმაყალი აქ რომ ასე უყვარდათ, მოფედერალისტო ახალგაზრდები, ცისფერყანწელები—ნაშუაღამევსაც რომ არ ასვენებდნენ და ძილს უფრთხობდნენ ქუთაისს. დაიფერფლა ფლირტის მოყვარული გიმნაზისტების, გაპრანჭული ვექილების, მეარღნეების, მიკიტნების, ვაჭრების, მეწვრილმანეების და წვრილფეხა „დიდკაცების" წვრილბურჟუაზიული ქუთაისი.

ახლა სულ სხვაა. მხოლოდ ხავსმოდებული შენობები, რომელთაც ორიოდე დღიღა დარჩენიათ, თუ მოგაგონებთ ცაცა რამაძის ელამ თვალებს და გიონდარანას უცნაურ ფილოსოფიას. დღეს ქუთაისს დაეუფლებიან სულ სხვა ბიჭები და გოგონები, რომლებიც საამქროებში ვაჟკაცდებიან.— „როგორც მუხები საღორიაში".

„სავარდო და სამაისო" ქუთაისი დღეს უკვე მოწინავე საბჭოთა ქალაქებს უტოლდება და ახლებურად გარდაქმნის გზაზე შემდგარს ძველებური უვარგისად მიაჩნია. წარსულის მოგონებით ლოყაალეწილი თითქოს რცხვენია, რომ ინდუსტრიალურ ქუთაისიდან ბარიტი და გუბრინი ძველებურ ვიწრო ქუჩებით უნდა გაიტანონ".

ცოცხალი დილაა. სულ რამოდენიმე წუთია რაც ნაყოფიერ შრომისაგან დაღლილმა ქუთაისმა გაიღვიძა. ქალაქის ქუჩები მუშათა მხიარულმა და მხნე სახეებმა გააცოცხლა. ახალგაზრდობამ აავსო და მოვარდნილ ტალღასავით აავსო ჟრიამულით. ახლა ეს საქმიანი და ჯანსაღი ახალგაზრდობა ახალისებს ქუთაისს, მათი ცხოვრებით ცხოვრობს ქალაქი.

აი ქუჩებში მოდიან და მოდიან ჯგუფ-ჯგუფად მუშაახალგაზრდები, სტუდენტები, ტექნიკუმის და [illegible] მოწაფეები, ბიჭები და გოგონები. სულ პატარებსაც წარმოებაში მომუშავე დედები სწრაფად მიარბენინებენ ბაღებში.

ეს ახალგაზრდები სკოლებისაკენ რომ ეშურებიან. რა თქმა უნდა არ იმეორებენ [illegible] სალოცავ სჯულს, რომ შემდეგ მთელმა კლასმა გაკვეთილის წინ სახოებით წარმოსთქვას დილის ლოცვა. არა, ეს ახალგაზრდები უკვე დილით საბჭოთა სკოლებში შედიან და იქ, მეცნიერებათა საფუძვლებთან ერთად, სწავლების ახალ მეთოდებსაც ეუფლებიან.

მთავარი ისაა, რომ ისინი რასაც სწავლობენ კი არ ზუთხავენ თუთიყუშივით, არამედ ორგანიულად ითვისებენ, აზროვნებენ და აკეთებენ კიდეც. იქნებ არ გჯეროთ. რომ ისინი შეთვისებულ ცოდნას პრაქტიკულადაც იყენებენ, რომ ისინი ქუთაისელი მოწაფეები,—ისე როგორც საბჭოთა კავშირის მოწაფეობა, პრაქტიკულადაც სინჯავენ თეორიის გრანიტს, ამოწმებენ მას.

მაშ თქვენ არ გინახავთ ქუთაისის პიონერების [illegible]კარში? არ გინახავთ ახალგაზრდა, უდიპლომო, „ინჟენერების" და „ტექნიკოსების" მიერ აგებული ჩელუსკინელების ბანაკი, თავს რომ არწივისებური თვალებით დასცქერის ოტტო იულიუსის შმიდტის პორტრეტი? ჩელუსკინელთა ბანაკის ცოტა ქვევით კი ამავე „ინჟენერების" მიერ გაშენებული რიონჰესია, მხოლოდ არა ბეტონის კაშხალით. ეს ახალგაზრდა „ტექნიკოსები" მეშვიდე, მერვე კლასის მოწაფეები არიან. იღლიაში თუფთად კანგა დაკრული წიგნები ამოუჩუყიათ და სკოლისაკენ მიეშურებიან.

— „მოდელისტთა ოთახი"—კითხულობთ ქუთაისის მეორე სრული საშუალო სკოლის ერთ-ერთი კლასის კარებზე. რა არის ამ ოთახში; იქ მთელი რესპუბლიკაა, ნისი მოდელი. აგერ ლიხის უღელტეხილი, შიგ რომ თაღებგაჭვარტლული წიფის გვირაბი გაუყვანიათ. გვირაბში შესასვლელად მზადაა „კწორა" ორთქლმავალი. ცოტა მოშორებით კი ჯერ დაუმთავრებელი ელმავალი [illegible] გადმოიყურებიან სხვადასხვა ზომის თვითმფრინავები და პლანერები. ქვემოთ—რიონჰესი გაწოლილა და.. რომელი ერთი აღვწეროთ.

ახალგაზრდა „ინჟენერები" მზრუნველობით თავს დასტრიალებენ თავიანთ ნამუშევარს. პატარა ბიჭები და გოგონები, რომლებსაც ახლა დაუწყიათ მუშაობა მოდელისტთა წრეში, უფრთხილდებიან თავისი უფროსი ამხანაგების მიერ დამზადებულ ლამაზ მოდელებს და გულში ავტორობას ნატრობენ.

— აქ მუშაობა არც ძნელია და არც მოსაწყენი. აქ მუშაობა ძალიან საინტერესოა—დაბალი ხმით ამბობს სამსონ სვანიძე მოდელისტთა წრის ხელმძღვანელი [illegible] ყმაწვილი. იგი სულ 16 წლისაა, სწავლობს მე-9 კლასში.

— მე მარტო რას გავაკეთებდი. აი ჩემი თანაშემწეები—და აქ სამსონმა მორცხვათ გახედა მარჯვნივ მდგომ გოგი სიხარულიძეს და ცოტა მოშორებით თვალი ვლადიმერ მარგველაშვილს მოავლო. ისინი საუკეთესო მოდელისტები არიან. განსაკუთრებით სიმპატიური ბავშვია გოგი, უხვი სიცოცხლე, რომ შეუძენია, თვალები სულ ვერ ცხლის წყალივით უციმციმებს და სხვის ყოველ შეცდომაზე გულწრფელად სწყინს

— ვინ ხელმძღვანელობდა თქვენთან რიონჰესის მოდელის მშენებლობას?—საიდღაც გაჩნდა კითხვა.

— მე—დარცხვენით განაცხადა ვახტანგ გამყრელიძემ და თან ფერმკრთალ სასიამოვნო სახეზე ალმურმა გადაურბინა. როცა ვახტანგს ჰკითხეს თუ რა უნდა, რომ გამოვიდეს, მან მშვიდათ ამოილაპარაკა:

— მე ჯიქია უნდა გამოვიდე. ეს იყო მომავალი ინჟენერის ყველაზე უფრო ძვირფასი და გულისხმიერი რეპლიკა, რიონჰესის მშენებლობის უფროსისადმი.

ამრიგად ვახტანგი ოცნებობს ინჟინერობაზე, ამავე დროს მუშაობს ფოტო, რადიო, სამხატვრო წრეებში და თან 5 რაზმს ხელმძღვანელობს.

— სახლში? წყალი, შეშა, ცეცხლი, ფედის მოხმარება; სკოლაში გაკვეთილები. და ისე მალიმალ მიდიან დღეები, რომ ამოსუნთქვასაც ძლივს ვასწრებ, —მორცხვად ამბობს პატარა კოწო არჩაღლია. იგიც არის მოდელისტი, ამ შესანიშნავ ოთახში მის მიერ გაკეთებული არც ერთი მოდელი არ დევს. მაგრამ ეს ლამაზად მოლაპარაკე შავგვრემანი ბიჭი, სკოლის მუდმივი ტრიბუნი, სულ სხვა საკითხებით არის დაინტერესებული. მას გულით უყვარს საზოგადოებათმეცნიერება, ისტორია და ქართული ენა. კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, აწვდის კორესპონდენციებს სკოლის ცხოვრებიდან გაზ. „სტალინელს" და ოცნებობს „პედფაკზე".

— რათ მინდა ინჟენერობა, სულ ერთია ვახტანგს და გოგის მაგაში მაინც ვერ ვაჯობებ. მე კომუნივერსიტეტში უნდა შევიდე და პარტკომის მდივანი ან დიდი გაზეთის რედაქტორი გამოვალ.

და პარტკომის მომავალი მდივანი ჯერჯერობით პიონერ-რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობით კმაყოფილდება; იგიც და მისი უმცროსი ამხანაგი ვალიკო ვადაჭკორიაც, ვოროშილოვის და კამოს ცხოვრებით გატაცებული, თითებზე ითვლიან თავიანთ წლოვანებას. ვალიკოს უნდა, რომ მალე გაქუსლოს სამხედრო სამსახურში, ჯერჯერობით კი კმაყოფილდება იმით, რომ რაზმის მედროშეა.

კუთხეში მიმჯდარა პატარა გოგონა ლეილა ახვლედიანი და თვალებს ნაბავს. ათწლედში იგი ცნობილია როგორც მომღერალი. მისი ხმა ყველაზე უფრო სასიამოვნოდ გაისმის მომღერალთა გუნდში.

ებრაელთა პირველი არასრული სკოლის პიონერ-რაზმის ფანფარისტი და მთელი სკოლის საამაყო მოწაფე ანდრო კობალაძე სამხატვრო აკადემიის მიერ წინასწარ არის „დაკონტრაქტებული". ანდროს ხელით უბრალო ხაზებში ამეტყველებულ სიცოცხლეს ბევრი გაუკვირებია და აულაპარაკებია.

და ვინ იცის რამდენი ასეთი ენერგიული ნიჭიერი და ორგანიზატორი ბავშვია ქუთაისში.

ისინი მოდიან მომავალი პარტმუშაკები, ინჟენერები, ვოროშილოველები, მხატვრები, პოეტები, მომღერლები, ექიმები.

ისინი მიდიან—შეიარაღებული ცოდნით, მონდომებით და კვლავ ახალი ცოდნის შეძენის დაუშრეტელი ენერგიით სავსე.

ისინი გამოდიან საყვარელ ბიჭიევიჩის (ზედმეტი სახელია)— 18 წლის პიონერის—ძველი ბოლშევიკის ამბაკო ალასანიას (ტექნიკური სადგურის გამგე) სადგურიდან და ისინი მიდიან ვეებერთელა სახელოსნოებისა ატელიეებისა და უნივერსიტეტებისაკენ. დავაჟკაცებული, ისინი საკუთარი ხელებით დაამთავრებენ განახლების გზაზე შემდგარი ცხოვრების გარდაქმნას, ჩვენი ქალაქების და კერძოდ ქუთაისის მშენებლობას რომელიც ტყემლის ყვავილებში მაშინ ათასწილად უფრო ლამაზი და წარმტაცი იქნება.

ისინი მოდიან—ჩვენი ლამაზი ცხოვრების მომავალი ყვავილები.

ქუთ[illegible] ტექნიკური სადგურის ენტუზიასტები, ხოლო „ინჟენერები" გ. სიხარულიძე, ვ. გამყრელიძე და სხ. თავის მოდელთან—„ჩელიუსკინელთა ბანაკი"

„კომუნისტის" საჰ. ესკადრილიის ასაგებად თანხების შესაგროვებლად დაწყებულმა კამპანიამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მშრომელთა მასები ფართო ფენებში,

სურათზე: პირველ საცდელ-საჩვენებელ ები ხელისმოწერა 10 წლედის მოწაფე მართავენ ესკადრილიის თანხების შესაგროვებლად

ყოფილ მეტეხის ადგილას

ხელოვნების მუზეუმის მონუმენტალური შენობა

ყოფილი მეტეხის ციხე დღითი-დღე იცვლის თავის სახეს. უკვე მიმდინარე წლის აპრილიდან გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პირველი სამი კორპუსის კაპიტალურად შეკეთებისათვის. დღემდე დამთავრდა ორი კორპუსის შეკეთება. კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად მალე დამთავრდება მესამე კორპუსიც, რომელიც საუკეთესოდ მოეწყობა საექსპოზიციოდ. მესამე კორპუსის ნაწილი დაეთმობა ბიბლიოთეკას და გამოფენებს.

დანარჩენი სამი კორპუსი მომავალი წლიდან დაინგრევა და მათ ადგილას აიგება დიდი მონუმენტალური შენობა, რომლის მოცულობა იქნება 40 ათასი კუბიკური მეტრი. ამ შენობის დამთავრების შემდეგ უბრალოდ დაინგრეს ის სამი კორპუსიც რომელიც დროებით იქნება ექსპლოატაციაში.

დაახლოებით 4 თვის შემდეგ მეტეხი — ხელოვნების მუზეუმი ისევ გაიხსნება რემონტირებულ შენობებში.

მუზეუმის ახალი შენობის საუკეთესო პროექტისათვის გამოცხადებული იქნება საკავშირო კონკურსი

ძვირფასი განძეულობის სეიფი

მეტეხის ციხის ეკლესია შეკეთებულ იქნა კაპიტალურად და მასში მოეწყო ძვირფასი განძეულობის სეიფი. აქ ინახება სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ძვირფასი ექსპონატები.

შემოწმება ტფილისის სამკურნალო ქსელზე

ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, მოსკოვის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ აიღო შეფობა ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებასა და საერთოდ ტფილისის სამკურნალო ქსელის მუშაობაზე.

საშეფო დახმარების გაწევასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად მოსკოვიდან ტფილისში ჩამოვა მოსკოვის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელთა ბრიგადა. ჯერჯერობით კი ტფილისის სამკურნალო ქსელის საჭიროებისათვის გამოყოფილია მედიკამენტების დიდი პარტია და სანიტარული ავტო კარეტა.

ბრიგადას ტფილისში მოელიან 15 ნოემბრისათვის.

ფიზკულტურა და სპორტი

ცეკავშირი—ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტი

დღეს, 24 ოქტომბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე იწყება პროფკავშირების პირველობის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას იღებს 30-დე გუნდი. მეორე და მესამე კატეგორიის გუნდების შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, ხოლო პირველი კატეგორიის გუნდების — ქულების სისტემით.

პირველობის გათამაშება იწყება ცეკავშირის და ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტების გუნდების შეჯიბრებით.

ახალი წიგნები

საბავშვო ლიტერატურა

რაჟდენ ქორქაშვილი — სამი ბიჭის ამბავი. დასურათებული მხატვარ კ. გძელიშვილის მიერ. გამოცემა სახელგამისა.

ლ. ასათიანი — შავი ქვის ამბავი. დასურათებული თ. აბაკელიას მიერ.

ლ. [illegible]ინაძე — ისლიანი სახლები. დასურათებული მხატვარ შ. ძნელაძის. გამ. სახელგამისა.

გარდა ამისა ამ დღეებში გამოვა:

სვიფტი — გულივერის მოგზაურობა. **დროის** ნახატებით.

დ. დეფოე — რობინზონ კრუზო. შ. შოველის სურათებით.

პანტელეევი და ბელიხი — რესპუბლიკა. მხატვრობა ალ. თავაძის.

ბ. ბიბინეიშვილი — მიწა იცინის. ირინა შტეინბერგის მხატვრობით.

ნახუცრიშვილი—სილვა ვასილევი. მხატ. ელ. ახვლედიანი.

ქართული სამედიცინო წიგნის გამოფენა

სახელმწიფო სამედიცინო ბიბლიოთეკა „უკრაინის სამედიცინო მეცნიერების დეკადისათვის" აწყობს ქართული სამედიცინო წიგნის გამოფენას.

გამოფენა შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1) სახალხო მედიცინა — ყარაბადინები, ინსტრუმენტები და სხვ., 2) სამეცნიერო პოპულარული მედიცინა — სანგანათლება; 3) მეცნიერული შრომები; 4) სამედიცინო პერიოდიკა.

გამოფენა გაიხსნება ტუბინსტიტუტში, სხდომების დარბაზის გვერდით. 2-დან 9 ნოემბრამდე.

ქრონიკა

✶ **25 ოქტომბერს, საღამოს 7 ს.**, საბჭოთა მხატვრების კავშირში (რუსთაველის, 13) შესდგება ამხ. ა. დუდუჩავას მოხსენება თემაზე: „ფორმალიზმის წარმოშობა და განვითარება მხატვრობაში და მისი ელემენტები ზოგ ქართველ მხატვართა შემოქმედებაში". დასწრება თავისუფალია.

◆ **შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის** საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში 26 ოქტომბერს საღ 7 ს. დანიშნულია რუსთაველის სექციის სხდომა განსახილველია „ვეფხის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემის საკითხი

◆ **ტფილისის სამეცნ. ბიბლიოთეკების საწარმოო თათბირი.** 25 ოქტ. საღამოს 7 ს. გან. მუშაკთა სახლში შესდგება სამეცნ. ბიბლიოთეკების მორიგი საწარმოო თათბირი.

◆ 28 ოქტომბერს. საღამოს 8 ს. ტფ. სამხატვრო აკადემიაში, საბჭოთა მწერლების პირველი საკ. ყრილობის მასალების დამუშავებასთან დაკავშირებით, მოხდება აკადემიის პროფესურისა და სტუდენტობის ყრილობის დელეგატებთან საზეიმო შეხვედრა მოხსენებას საბჭოთა მწერლების ყრილობის შესახებ გააკეთებს **ალ. დუდუჩავა.**

რადიო-ქრონიკა

„კომუნისტის" მეთაური წერილები ამხ. სტალინის სახ. ტფილისის რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება წინადღით საღამოს 7 საათსა და 35 წუთზე (ტფილისის დროით) ყოველდღე.

დღეს კინოებში

„ოქტომბერში" — ამერიკ. ხმოვანი ფილმი — „მარტინ ბლეიკის გამცემლობა".

„დამკვრელში" — „პატარა ქალის დიდი სიხარული"

„ტემპში" — „დიპლომატიური შიკრიკის ჩანთა".

„ეთერში" — „ვერცხლის შარფი" მეორე სერია.

„ლიუქსემბურგში" — ხმოვანი ფილმი — „ოლიმპიადა".

„კომინტერნში" — „უკანასკნელი ჯვაროსნები"

პარტკალენდარი

— **სტალინის რაიკომის პარტგანათლების** სახლი აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტს, რომ 25 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე პარტგანათლების სახლში შესდგება საკანდიდატო სკოლების, დაწყებითი პარტსკოლების და პარტიის ისტორიის შემსწავლელი სკოლების პროპაგანდისტთა მორიგი სემინარი. აღნიშნული სკოლების პროპაგანდისტთა გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

— **საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი** იუწყება, რომ 25 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ორჯონიკიძის რაიონის პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპსემინარის ხელმძღვანელთა დასწრება სავალდებულოა.

ხვალ 25 ოქტომბერს, საღ. ზუსტ 8 საათზე, საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პ. აღნიაშვილის კაბინეტში მოწვეულია თათბირი „კომუნისტის" ესკადრილიის აგების შესახებ. უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: **ყურულაშვილი, მალცევი, მოროზოვი** (ა.-კ. საჰაერო სამოქალაქო ფლოტის სამმართველო), **კილაძე** (სამოქალაქო ავიაციის რწმუნებული საქართველოში), **ჯიბლაძე** (ჰაეროკლუბი), **ენუქიძე** (ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის უფროსი) **შ. ჭანკოტაძე, პილოტი ნიკურაძე** (აეროკლუბი), **ბოროზაჩენკო** (ტფილისის აეროსადგურის უფროსი). **მაჭავარიანი** (სამოქალაქო ავიაციის სამმართველო), **ნ. კიკნაძე, გრ. მუშიშვილი.**

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
28 ოქტომბერს
1934/35 წ. სეზონის გახსნა
ურიელ აკოსტა
წარმოდგენა № 1
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ნ. 199

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზონი
დღეს მე-8 აბონ. 1 წარ. ტრავიატა
25 ოქტომბერს მე-7 აბონ. 1 წარ. აიდა
26 ოქტომბერს მე-9 აბონ. 1 წარ. შოთა რუსთაველი
ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ შეტანილი მესამე საბონემენტო გადასახდელი. წარმოდგენაზე არ დაიშვებიან დაიწყო მეოთხე მორიგი გადასახდელის მიღება ყველა აბონემენტზე.
სალაროები ღიაა: დღისით 11-დან 2 საათამდე საღამოთი 5-დან 9 საათამდე.

რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრი
24 ოქტომბერს 14 აბონ. 1 წარ. ჰამბიჭარი
26 ოქტომბერს 4 აბონ. 1 წარ. 6 გიჟგარი
27 ოქტომბერს 8 აბონ. 1 წარ. დუშმანი
აბონენტები მეორე გადასახადი არ ექნება შეტანილი წარმოდგენაზე არ დაიშვება
სალარო ღიაა 11—2 ს 6—9 საათამდე
დასაწყისი 8 საათზე

იკითხეთ და გაავრცელეთ „[illegible]"

მისამართები. რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ № 84 ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის — 3-51-81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 9314